ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათობით და ხუთშაბათობით

№3 (1513) 13–16 იანვარი, 1997 წელი

ნუგზარ ფოფხაძე:

შევარდნაძის უნებართვოდ ერთი „საიდუმლოც“ უნდა გავთქვა...

მეორე გვერდი

...მათაც არანაკლებ უყვართ მამები, მათაც უნდათ ცხოვრება „უიარლიყოდ“

აკაკი ბაქრაძე:

ედუარდ შევარდნაძემ კი დაამატა: რაც შეეხება ბაქრაძეს, აქედან რომ გახვალთ, ნუ ჩაქოლავთ...

მეთერთმეტე გვერდი

თენგიზ კიტოვანი:

ტყუილი, ტყუილი და შევარდნაძე

ჩვენი „პოლიტიკური მიმომხილველი“ თენგიზ კიტოვანი „ორთაჭალიდან“ გვატყობინებს...

მესამე გვერდი

კანონი, რომელიც სამარცხვინო ლაქად შევა კანონთა კრებულში

მეცხრე გვერდი

XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

ლიტო ქიაჩელი

მეხუთე გვერდი

მომდევნო ნომერში:

1978 წლის 14 აპრილთან დაკავშირებული მწერალთა კრების სტენოგრაფიული ანგარიში

ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

ნუგზარ ფოფხაძე:

შევარდნაძის უნებართვოდ ერთი „საიდუმლოც“ უნდა გავთქვა...

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „საქართველო“ №70,71,72, 1996 წ. №1,2 1997 წ.

და მიუხედავად ყველაფრისა, თუ სხვათა „დაწინაურების“ თემას მაინც ეხება, ეტყობა, ესეც ნაწილია იმ „სტრატეგიული გეგმისა“, რომელმაც ამ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს ტაქტიკური ამოცანის გადაწყვეტა – გაუჯდეს საქართველოს სისხლში და ხორცში იმის შეგნება, რომ მას „შეთქმულება“ მოუწყეს „იმისი“ გუნდის წევრებმა, რომ „უსინდისოებმა“ და „კარიერისტებმა“, თურმე, მის სკამისთვის ბრძოლას ანაცვალეს ამდენი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე!

და თუ ამ სტერეოტიპის დამკვიდრებით საზოგადოებრივ აზრში გაბატონებული „სისხლიანი ბარიერიც“ გადალახული იქნება, უკვე ბოლომდე განწმენდილები შევუდგებით გზას „ტაძრისაკენ“ – თანამდებობრივი ოლიმპისაკენ...

ამაზრზენია ყოველივე ეს არამცთუ წერა, ფიქრიც კი.

მაგრამ, ახლა ემოციების დრო არ არის. ბარემ ბოლომდე მივყვები...

ნებისმიერი ადამიანი, თუ ის წინასწარ დაპროგრამებული არ არის, ვიმედოვნებ, დამეთანხმება, რომ არ არის სწორი პატიაშვილის მტკიცება, რომ თითქოს მასთან ერთად პასუხისმგებლობა არავინ გაიზიარა. პირიქით მგონია და უფრო მეტი, ღრმადაც მჯერა, რომ მისი უმძიმესი შეცდომებისა და, ზოგ შემთხვევაში, „დანაშაულის“ გამო, ზედმეტად და უსაფუძვლოდაც კი დაისაჯნენ სხვები!

თვით პატიაშვილი, მე რომ მკითხოთ, სამართლებრივად და პოლიტიკურად შედარებით იოლად „გამოძვრა“ – რომ გამახსენდება, თვითონ, სულ მცირე გადაცდომისთვის კი არა, აშკარად შეთითხნილი „დანაშაულისთვისაც“, რა მკაცრ სასჯელებს არიგებდა და თან– მეცნიერებათა კანდიდატი დანიშნეს ვეებერთელა სამეცნიერო–საწარმოო გაერთიანების დირექტორად, მისცეს თავის ცხოვრებაში პირველად კონკრეტული საქმე.

შეიძლება სადავო იყოს ამდებობიდან როგორ ერეკებოდა ხალხს, მაშინ ფიქრად გამიელვებს: როგორც თანამდებობის პირს და სკკპ წევრს, მას არ მიუღია იმ დროისთვის კანონით თუ პარტიის წესდებით გათვალისწინებული არც ერთი (!) სასჯელი. მხოლოდ თანამდებობრივად დააქვეითეს ასეთი ხმამაღალი ფიქრი, მაგრამ საფუძველი ნამდვილად არსებობს. არც არგუმენტებისთვის მოუხდება შორს წასვლა კაცს, მაგრამ ამჯერად ეს საქმე გადავდოთ.

უპრიანია იმის გახსენება, რომ ტრაგედიის პირველი წუთებიდანვე მაშინდელი პირველი მდივანი ყველა გზით ცდილობდა თავის გადარჩენას. ესეც არ გამიკვირდებოდა – ყველანი ადამიანები ვართ, რომ სხვა რამ, ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი, არ დამენახა.

კაცმა, რომელსაც „ქალაქელობის“ და „ბიჭობის“ პრეტენზია დღესაც მოჭარბებულად აქვს, ყველაფერი გააკეთა, მათ შორის – არ მორიდებია დოკუმენტების ფალსიფიცირებასაც კი, რათა პასუხისმგებლობის მორევში უსაფუძვლოდ ჩაეთრია რაც შეიძლება მეტი კოლეგა. თუ მისი გარემოცვის „საყვარელ“ ტერმინოლოგიას დავესესხები, არა მარტო „ჩაუშვა“, არამედ მაქსიმუმი გააკეთა მათ „ჩასაძირად“. არა მგონია, ბიუროს მაშინდელ წევრებს ისე ღალატობდეთ მეხსიერება, რომ ეს დავიწყებოდათ. ასევე, თუ მათ ობიექტურობის გრძნობაც არ უღალატებთ, ეგებ ისიც გაიხსენონ, რომ მაშინდელი პირველი მდივნის ასეთი პოზიციის საპირისპიროდ, ზოგიერთები არაფერს ვიშურებდით არც ადრე და არც იმ უმძიმეს დღეებში, მისი ხვედრის შესამსუბუქებლად.

ვერ ვაკადრებ ბატონ ე.შევარდნაძეს დამოწმების თხოვნას, ამიტომ მკითხველს მოუწევს ენდოს ამ ჩემს საჯაროდ ნათქვამ სიტყვას: არ ვიცი ბიუროს სხვა წევრების პოზიცია მასთან პირისპირ შეხვედრის დროს, მაგრამ როცა ჩემი რიგი მოვიდა, 9 აპრილის საღამოს ე.შევარდნაძეს და პოლიტბიუროს მეორე წარმომადგენელს – სკკპ ცკ–ს მდივან რაზუმოვსკის, ვთხოვე ეფიქრათ პირველი მდივნის პოსტზე პატიაშვილის შენარჩუნების თაობაზე. ამ თხოვნამ, მაშინ, ე.შევარდნაძის კეთილგანწყობა ჰპოვა.

მის. უნებართვოდ, ერთი „საიდუმლოც“ უნდა გავთქვა. როცა ამ საკითხს მეორე დღეს დავუბრუნდით, მან მირჩია, ერთი–ერთზე საგანგებოდ დაელაპარაკე და შეეცადე რაზუმოვსკი დაარწმუნო. თანაც, გამანდო: ჯუმბერისადმი პირადი სიმპათია აქვს და ეცადე, ეს შეხედულება კიდევ უფრო განუმტკიცოო.

ასეა ეს.

შეიძლება მაშინ ვცდებოდი, მაგრამ იმ დროს სწორედ ასეთი გადაწყვეტილება მიმაჩნდა ოპტიმალურად. უწინარესად, პოლიტიკური აუცილებლობისა, და შემდეგ – ადამიანური მოსაზრებების გამო. პატიაშვილმა გულში ჩაიხედოს და გაიხსენოს, თვითონ რას ეუბნებოდა თავის კოლეგებზე მოსკოვის „დესანტს“ – ესეც რომ არ არის დამალული?..

ეს, რაც შეეხება კარიერის სფეროს. ახლა, მორალური მხარე. ჩემდამი კეთილგანწყობილმა მკითხველმა, შესაძლოა, არ მომიწონოს ეს ნაბიჯი, ცოტა „დამადლება“ და „წამოძახილიც“ გამომდის, მაგრამ, გულწრფელად ვთხოვ პატიებას მკითხველებს და, უწინარესად, მის შვილებს, ოჯახს.

9 აპრილი, შუადღემდე პატიაშვილი რამდენჯერმე მესაუბრა ტელეფონით, ისე არეულად, ისე უაზროდ, რომ აშკარად შევშინდი, რამე არ აუტეხოს–მეთქი თავს. დაცვის სამსახურის მეშვეობით მივაწვდინე ხმა მის გადამალულ მეუღლეს. დამირეკა. ავუხსენი ჯუმბერის უმძიმესი ფსიქოლოგიური მდგომარეობა და გავანდე ჩემი ეჭვები, შევეცადე დამერწმუნებინა საფრთხის რეალურობაში...

შემდგომ პატიაშვილი არაერთგზის იტყვის საჯაროდ, კაცურად, მართლად, რომ მის სამუშაო კაბინეტში ვაჟიშვილის მოულოდნელმა გამოჩენამ პრაქტიკულად სიცოცხლე შეუნარჩუნა.

მაშინაც მიხაროდა და ახლაც მიხარია მამა–შვილის ასეთი დამოკიდებულება, ურთიერთ რწმენა, ურთიერთ ერთგულება. უდიდეს პირად სიამოვნებას და სიამაყეს მგვრის ის, რომ სასოწარკვეთილებამ-

გაგრძელება მე-8 გვ.

> *...9 აპრილი, შუადღემდე პატიაშვილი რამდენჯერმე მესაუბრა ტელეფონით, ისე არეულად, ისე უაზროდ, რომ აშკარად შევშინდი, რამე არ აუტეხოს–მეთქი თავს. დაცვის სამსახურის მეშვეობით მივაწვდინე ხმა მის გადამალულ მეუღლეს. დამირეკა. ავუხსენი ჯუმბერის უმძიმესი ფსიქოლოგიური მდგომარეობა და გავანდე ჩემი ეჭვები, შევეცადე დამერწმუნებინა საფრთხის რეალურობაში...*
>
> *შემდგომ პატიაშვილი არაერთგზის იტყვის საჯაროდ, კაცურად, მართლად, რომ მის სამუშაო კაბინეტში ვაჟიშვილის მოულოდნელმა გამოჩენამ პრაქტიკულად სიცოცხლე შეუნარჩუნა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააკავეს სამხედრო მოსამსახურეები

რობერტ სააგენტოს კორესპონდენტს შსს-ს პრეს-ცენტრიდან აცნობეს, შსს-ს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს თავდაცვის სამინისტროს დაბა წყნეთში დისლოცირებული სამხედრო ნაწილის ყოფილი მოსამსახურეები ნ.ზურაბიშვილი, თ.თანანაშვილი და თ.ესეიანცი. აღნიშნული პირები ეჭვმიტანილები არიან იმაში, რომ 1993 წლის 20 ნოემბერს, ავტომატური იარაღით შეიარაღებულები, ამავე ნაწილის სხვა, ჯერ დაუდგენელ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, იარაღის გატაცების მიზნით, თავს დაესხნენ ვაკის პოლიციის განყოფილების წყნეთის ქვეგანყოფილებას, ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს შენობას, მაგრამ ქვეგანყოფილების თანამშრომლების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის გამო, იარაღის გატაცება ვერ შეძლეს.

ნ.ზურაბიშვილს და ამავე ნაწილის მოსამსახურეს, სხვა დანაშაულისათვის ადრე ძებნილ ნ.ბუცხრიკიძეს ბრალი ედებათ იმაში, რომ 1993 წლის 12 დეკემბერს დაბა წყნეთში, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს ავტომანქანას ვაზ 2106, რის შედეგადაც დაიჭრა მძღოლი, ხოლო მგზავრი საავადმყოფოში გარდაიცვალა. (იფრინდა)

თბილისის გენერალური გეგმა დღემდე დაუფინანსებელია

პარლამენტის პრეს-ცენტრის ცნობით, 10 იანვარს პარლამენტის თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტში შედგა საკომიტეტო მოსმენა – თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ახალი გენერალური გეგმის მოსამზადებელი და წინა საპროექტო სამუშაოთა რეალიზაციის შესახებ. როგორც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ.შაიშმელაშვილმა აღნიშნა, გენ. გეგმის შემუშაევების საკითხებზე გამოიცა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის ბრძანებულება. მიღებულია მინისტრთა კაბინეტის დადგენილება და თბილისის მერიის შესაბამისი გადაწყვეტილები. მერიას ამ საკითხების ირგელივ დაევალა მაკოორდინირებელი საბჭოს შექმნა და წინა საპროექტო სამუშაოების დაწყების დაფინანსება, რაც დღემდე არ არის უზრუნველყოფილი იმის გამო, რომ არ გამოყოფილა შესაბამისი თანხა და მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის დადგენილების საფუძველზე გენერალური დამპროექტებელი ორგანიზაციის – „თბილქალაქპროექტის“ ბაზაზე ვერ მოხერხდა საიჯარო საწარმოს შექმნა.

საპროექტო ინსტიტუტის დირექტორის გ.მეტრეველის განცხადებით, დაფინანსების საკითხის მოუგვარებლობის გამო, გენ.გეგმის წინა საპროექტო სამუშაოები დროებით შეჩერებულია. მოსმენაზე აღინიშნა, რომ თბილისის ახალი გენ.გეგმა განხილულ უნდა იქნეს საქართველოში ტრანსკავკასიური დერეფნის განხორციელების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, დედაქალაქის მერიის მხრიდან დაივს მოუგვარებლობა სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულების რეალიზაციის ერთ-ერთ ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა.

პრობლემის ოპერატიულად დარეგულირების მიზნით, საქართველოს პარლამენტის თვითმმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება – საკითხი პარლამენტის უახლოეს პლენარულ სხდომაზე განიხილონ, რის შესახებაც ეცნობება ქვეყნის პრეზიდენტს. (იფრინდა)

თენგიზ კიტოვანი:

ტყუილი, ტყუილი და შევარდნაძე

ჩვენი „პოლიტიკური მიმომხილველი“ თენგიზ კიტოვანი „ორთაჭალიდან“ გვატყობინებს...

მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ქვეშ იყო ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესები. ბევრგან იყო დაცა ჩეჩენ ხალხის გმირობაზე და რუსეთის ჯარის უძლურობაზე. მერე ირკვევა, რომ რუსის ჯარი ტოვებს ჩეჩნეთს და დაახლოებით 60 ათას მოკლულ ჯარისკაცს. რის ფასად? აქაც რუსეთის მოქნილმა პოლიტიკამ პირში ჩალა გამოაყლო შევარდნაძის პოლიტიკას, მან ჩეჩნეთში ომი შეწყვიტა იმის ფასად, რომ მთელი ნავთობსადენი – ბაქო, გროზნო, ნოვოროსიისკი უმტკივნეულოდ ივლის ამ მიმართულებით იმის დამატებით, რომ თვით გროზნოს ნავთობი დაემატება ამას და რუსეთი იღებს ვალდებულებას, რომ გროზნოს ნავთობი უმტკივნეულოდ ჩაბარდება პატრონს. ალბათ გროზნოს ნავთობის პატრონი, ჩემის აზრით, იქნება თურქეთი. რა წააგო საქართველომ? საქართველომ წააგო ის სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რასაც შევარდნაძე ესე ეპოტინებოდა და მას ეგონა, რომ ამით მისი, მშვიდობიანი პოლიტიკა კავკასიაში მას მოუტანდა აბრეშუმის გზას, რუსებმა უფრო მშვენიერი გზა მონახეს და საქართველოს პოლიტიკას პირში ჩალა გამოავლეს. რა რჩება შევარდნაძეს, კაზახისტანის თენგიზის საბადოები. ესე-იგი საკუთარი ნავთობი, რაშიც შევარდნაძეს აქვს ჩადებული მთელი თავის კაპიტალი.

ეხლა რაც შეეხება კაზახისტანის ნავთობს, თქვენ გახსოვთ, შუა აზიის ლიდერების ჩამოსვლა საქართველოში ეს იყო შევარდნაძის ნავთობის ავანტურა, სადაც მან შესთავაზა იმ ქვეყნის ლიდერებს წილი იმ ნავთობისა, რომელიც ეკუთვნოდა მას. ყველაზე ძალიან დაინტერესებული აღმოჩნდნენ აზერბაიჯანის ლიდერი და თვით ნაზარბაევი რომლის ქვეყანაშიც შევარდნაძეს აქვს ნაყიდი გარკვეული ნაწილი ნავთობსაქონის საბადოებიდან. აქ „შეერონის“ კომპანია ღებულობს მონაწილეობას რომელიც დაფინანსებულია შევარდნაძის მიერ. რა წინააღმდეგობას წააწყდება შევარდნაძე საქართველოში? ასლან აბაშიძეს, რომელიც არაფრით არ დაუთმობს საქართველოში შემოსულ ნავთობს თუ გეზი ეცვალა და იგი ფოთის მიმართულებით წავა, რითაც შევარდნაძეს უნდა რომ ასლან აბაშიძე ამით მაინც გაანაწყენოს ან ისე უჩქმიტოს რომ ასლანს გააგებინოს რომ ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდია წაგებული აჭარით, აფხაზეთით, სამაჩაბლოთი. ეხლა დაემატება სამხრეთ საქართველო ჯავახეთი. მოკლედ, წაგებული ედუარდი მაინც ჯახირობს ეგებს რამეს გამოჭრას ხელი.

ახლა რაც შეეხება პრესის თავისუფლებაზე რომ ფიცულობს შევარდნაძე, ხომ შეიძლება რომ მართლაც შევარდნაძე გახდა დემოკრატი და თავისი აგენტურა მოაშორა პრესის სამსახურს სადაც მას ჩასმული ჰყავს და აშინებენ იმ ჟურნალისტებს, რომლებიც მართლაც და სიმართლეს სწერენ რომ საქართველოში არსებობენ პოლიტპატიმრები, რომ ჩვენ შევარდნაძის მეთოდით აფხაზეთში ვერ შევალთ, მენაღარაშვილი ლაპარაკობს და ცრუობს შევარდნაძის დაკალებით, რომ ჩვენ სინათლე არ გვაქვს არც გაზი და მოსახლეობა არის მისული კრიტიკულ ზღვარზე. მე არ ვიცი ლტოლვილები ცოცხლები დარჩნენ თუ არა ამიტომ, რომ როცა გადმოცემა იწყება ლტოვილთა დაღუპვით რასაც მე ვისმენ მათი უმრავლესობა მე მგონი დასაფლავებული უნდა იყოს და ამით აფხაზეთის პრობლემა გადაწყვეტილი რჩება მშვიდობიანად ვინაიდან იქ შესასვლელი პიროვნებებს და მოსახლეობა ცოცხალი აღარ იქნება თუ შევარდნაძის მშვიდობიან პოლიტიკას ველოდეთ. აფხაზეთში შესვლის თავი შევარდნაძეს არ აქვს და არცერთი სახელმწიფო მას არ დაეხმარება ყველა მიხვდება შევარდნაძის ავანტურისტულ სვლებს. მე მინდა ესე დავამთავრო ეს წერილი ტყუილი. ტყუილი და შევარდნაძე.

კანონი, რომელიც საკარჩხვინო ნაქაღდ შვა კანონია კრებულში

საქართველოს პარლამენტმა 1996 წლის 25 დეკემბერს, საგანგებო სესიის პირველსავე სხდომაზე, მიიღო კანონი „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“.

თავიდანვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ყველაზე მეტად ამ დარგის პრაქტიკოსი სპეციალისტები ეართ დაინტერესებულნი კანონის მიღებით, რადგანაც მიგვანნია, რომ სწორედ სამართლიანი კანონი აღმოფხვრის დარგში გამეფებულ განუკითხაობასა და ქაოსს, დაეკანონებს ჯანსაღი კონკურენციის ნორმებს, რათა ქვეყნის მთელი მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნას დაბალი ფასისა და მაღალი ხარისხის წამლებით. ცხადია, რომ აღნიშნული კანონი არის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის კანონი, რადგანაც იგი შეეხება არა მხოლოდ დარგის მუშაკებს, არამედ ქვეყნის მთელ მოსახლეობას. ამიტომაც გაუმართლებლად მიმაჩნია კანონის კონსპირაციულად გაცხადება და ნაჩქარევად მიღება. სამწუხაროდ, კანონი ფარულად მომზადდა ვიწრო ჯგუფის მიერ, არ ყოფილა გამოქვეყნებული თვით სამედიცინო პროფილის ჟურნალ-გაზეთებშიც. შეუძლებელი აღმოჩნდა მისი ტექსტის მოპოვება წამლის დეპარტამენტში. ყოველივე ამისა და დროის სიმცირის გამო - ვერც მე და ვერც ჩემმა კოლეგებმა ვერ შევძელით დროულად მიგვეწოდებინა ჩვენი მოსაზრებები პარლამენტისთვის, რომელიც პროექტის ავტორებმა (ყველა არ იგულისხმება) შეგნებულად შეიყვანეს შეცდომაში. დაინტერესებულმა პირებმა იგრძნეს რა, რომ მოუხდნენ ჩანაფიქრს და დღითი-დღე იზრდებოდა მათ მიმართ სამართლიანი წინააღმდეგობა (ტელევიზიისა და პრესის შეფასებების მიხედვით), რის გამოც სულ მალე უკვე შეუძლებელი გახდებოდა აღნიშნული კანონის მიღება, ინქარეს და სასწრაფოდ გაიტანეს იგი პარლამენტის საგანგებო სესიის პირველსავე სხდომაზე მესამე მოსმენით განსახილველად. საგულისხმოა ისიც, რომ სესიაზე განხილაში მონაწილეთაგან კანონს არ ჰყოლია არც ერთი მხარდამჭერი, მე ხაზს ვუსვამ არც ერთი მხარდამჭერი. პირიქით, ყველა გამმსჯელელმა გამოხატა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება დანართის მიმართ, რომელიც პირველად ჩაბარებული კენჭისყრის შედეგად მართლაც ვერ გავიდა და, ჩემდა გასაოცრად, გავიდა რატომღაც განმეორებით ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (როგორც ჩანს, კანონის ავტორები ხმების მოპოვების რაღაც განსაკუთრებულ საშუალებებს ფლობენ). ჩემი და ჩემი კოლეგების გაოცება გამოიწვია იმან, რომ კანონის მიხედვით „წამლის დეპარტამენტმა მოითვისა წამლის რეგისტრაციის უფლება, რომელიც წარმოადგენს ფარმაკოლოგიური კომიტეტის პროგოატივას.

კანონპროექტის მე-2 მუხლის და მე-3 პუნქტის თანახმად წამლის დეპარტამენტი თავის თავზე იღებს „სამედიცინო კადრების მომზადების და უწყვეტი განათლების სისტემაში მონაწილეობას“. საინტერესოა როგორ და რატომ აპირებს წამლის დეპარტამენტი განათლების სისტემაში ჩარევას. იგივე პუნქტის თანახმად წამლის დეპარტამენტი ახორციელებს „ფარმაცევტული საქმიანობით დაკავებული პირების ატესტაციასა და სერტიფიცირებას“. ე.ი. სერტიფიცირება საჯალდებულოა ყველა დიპლომირებული ფარმაცევტისათვის, მათ შორის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტის კურსდამთავრებულებისათვისაც და წარმოადგენს აუცილებელ პირობას საგანთაქო სისტემაში მათი მუშაობისათვის. ჩემი აზრით, ეს ნიშნავს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის მიერ უფასოდ გაცემული დიპლომის იგნორირებას, ხოლო დიპლომის მფლობელს ვიძულებთ გადაიხადოს დამატებითი საფასური სერტიფიკატის მისაღებად.

ახლა მინდა, თქვენი ყურადღება მივაპყრო აღნიშნული კანონპროექტის დანართის იმ პუნქტებს, რომელთა დაკანონებით კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან არა მხოლოდ დარგის მუშაკები, არამედ ქვეყნის მთელი მოსახლეობა.

კერძოდ, მე-3 პუნქტის თანახმად, – „ფარმაცევტული ბაზის სასაწყობო ფართი განისაზღვრება სამუშაოს მოცულობით და საქონელბრუნვით, მაგრამ არ უნდა იყოს 400 კვადრატულ მეტრზე ნაკლები“.

ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ამ პუნქტის მეორე ნახევარში მოტანილი რიცხვი საკმაოდ შორს არის რეალურისაგან, აშკარაა ამ პუნქტის პირველი და მეორე ნაწილის ლოგიკური ურთიერთდაპირისპირებულობა, რადგანაც მეორე ნაწილი იგნორირებას უკეთებს პირველ ნაწილს და გვეუბნება, რომ მცირე ბაზების ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო ფართი მართლა სამუშაოს მოცულობითა და საქონელბრუნვით კი არ განისაზღვრება (როგორც ჩანს, ეს ისე, თვალის ასახვევად არის ჩამატებული), არამედ ყველას, დიდსაც და პატარასაც ავტომატურად მოეთხოვება, რომ მათი სასაწყობო ფართი (და არა მთლიანი ფართი) აუცილებლად უნდა იყოს 400 კვადრატული მეტრი და მეტი ე.ი. მე-3 პუნქტის ფაქტიური, რეალური მოთხოვნა ასეთია: ნებისმიერი ფარმაცევტული ბაზის (მიუხედავად მისი საქონელბრუნვისა) სასაწყობო ფართი (და არა მთლიანი ფართი) უნდა იყოს 400 კვადრატული მეტრი და მეტი. ხოლო თუ ამავე დანართის მე-2 პუნქტის შეზღუდვასაც გავითვალისწინებთ, ეს ფართი განთავსებული უნდა იყოს კაპიტალური შენობის პირველ ან პირველ და მიმდებარე სართულებზე ერთდროულად.

ჩემი აზრით კი, უპირველეს ყოვლისა, კანონში ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული არა ფართის სიდიდესა და სართულზე, არამედ

გაგრძელება მე-4 გვ.

მწვანეებს პრეზიდენტი დაუბრუნდათ

11 იანვარს საქართველოს მწვანეთა ოფისში პრესკონფერენცია გაიმართა. ამავე ორგანიზაციის თავმჯდომარემ გია გაჩეჩილაძემ დასაწყისში ჟურნალისტებს გვამცნო, რომ მწვანეთა პარტია ყველაზე დიდი მოძრაობაა საქართველოში, გააჩნია დაახლოებით 50 რაიონული და საქალაქო ორგანიზაცია, რომელშიც 6000-მდე ადამიანია გაწევრიანებული. მანვე სიხარულით გვაუწყა მწვანეთა მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ეკოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტის გივი თუმანიშვილის დაბრუნება, რომელმაც 1995 წლის აგვისტოში დატოვა მწვანეები. მიზეზი კი, როგორც პრესკონფერენციაზე თავად განაცხადა – მწვანეთა მოძრაობის ძირითადი პრინციპების დარღვევა იყო. აგრეთვე, მწვანეთა მთავარი ბირთვი არჩევნების დროს, ხელისუფლებაში მოსახვედრად, მოქალაქეთა კაეშირში გაწევრიანდა. წესდების თანახმად ამავე დროს უფლება ჰქონდათ დარჩენილიყვნენ მხოლოდ მწვანეთა მოძრაობის წევრებად. რამაც, გ.თუმანიშვილის თქმით, ორ სკამზე ჯდომის სინდრომი წარმოშვა. არასამთავრობო ორგანიზაციის სეციფიკისათვის ეს სრულიად მიუღებელია, რადგან მწვანეთა მოძრაობა გარემოს დაცვის პოლიტიკაში შესაძლოა მთავრობის საპირისპირო პოზიციაზე დადგეს.

ასე რომ, მწვანეები თავიანთ ძველ პრინციპებს უბრუნდებიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებაში აღარ დარჩა ძალა, რომელიც გარემოსა და ბუნების დაცვაზე იზრუნებს. საქართველოს მწვანეები უმწვავეს პრობლემად თვლიან რადიაქტიული უსაფრთხოების საკითხებს, ხოლო კანონი რადიაქტიული დაცვის შესახებ ჯერაც არ არსებობს, რაც მავანთ საშუალებას აძლევს თავისუფლად იმოქმედონ რეაქტიული ნარჩენების ტრანსპორტირებისა და შენახვისათვის, რისი აკრძალვაც, მწვანეთა ღრმა რწმენით, პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზაა. შინაგან საქმეთა და გარემოს დაცვის სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი ეგზიანის ნარჩენების სამარხი მართლაც რომ საეალალო მდგომარეობაშია და მისი გამოყენება არანაირად არ შეიძლება, რაც ახალი სამარხის მოძიებას მოითხოვს. რაც შეეხება ატომური ელექტროსადგურების მშენებლობას, მწვანეები ძველ პოზიციაზე დგანან.

ია ბუკოვსკაია

ილია ჭავჭავაძის საზოგადოება იუწყება, რომ გარდაიცვალა ზურაბ ჭავჭავაძის დედა

თინათინ ცაბარეიშვილი-ჭავჭავაძისა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კაცობა, რომელიც საბჭოთა ლაქად ითვლა კაცობა კრეჯულში

მესამე გვერდიდან

წამლის შენახვისა და რეალიზაციისათვის საჭირო საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების (განათება, ტენიანობა, ტემპერატურა, ურთიერთგანლაგება და სხვა) განუხრელ დაცვაზე, რადგანაც სავსებით შესაძლებელია ბაზას გაანდეს პირველ სართულზე განთავსებული 400 კვადრატული მეტრი და მეტი ფართიც, მაგრამ მანც არღვევდეს ზემოაღნიშნულ ნორმებს. ასევე სავსებით ცხადია ისიც, რომ მცირე საქონელბრუნვის მქონე ბაზებს (რომლებიც მუშაობენ რამდენიმე დასახელების მედიკამენტების მცირე პარტიებზე) აღნიშნული ნორმების დასაცავად სულაც არ ესაჭიროებათ მანცადამანც 400 კვადრატული მეტრი ფართი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მე მიმაჩნია, რომ მეორე პუნქტი მთლიანად ამოსაღებია, ხოლო, რაც შეეხება მე-3 პუნქტს, ეს შეიძლება ჩამოყალიბდეს ასეთნაირად: „ფარმაცევტული ბაზის სასაწყობო ფართი განისაზღვრება სამუშაოს მოცულობით, საქონელბრუნვით და წამლის შენახვისა და რეალიზაციისათვის საჭირო ნორმებით."

თუ დანართში აღნიშნული შეზღუდვები დაკანონდება და ჩვენი მოსაზრებები არ იქნება გათვალისწინებული, მაშინ ჩემი პროგნოზით: საქართველოში დღეისათვის არსებული 160 ფარმაცევტული ბაზიდან (რომლებიც მათ შორის არსებული კონკურენციის გამო თავდაუზოგავად ცდილობენ მოსახლეობას რაც შეიძლება დაბალ ფასებში მიაწოდონ მედიკამენტების სრული სპექტრი, მაგრამ სანახევროდაც ვერ ახერხებენ ამას), შეიძლება დარჩეს 2 ან 3 ბაზა. ეს კი თავის მხრივ გამოიწვევს:

1. იმის გამო, რომ ისინი უბრალოდ ფიზიკურად ვერ შეძლებენ მოსახლეობისათვის საჭირო ასორტიმენტისა (ათასობით დასახელებისა) და რაოდენობის მედიკამენტების შემოტანას (ეს ვერ ხერხდებოდა საბჭოთა პერიოდშიც, მიუხედავად მაშინდელი ცენტრალიზებული მომარაგებისა) შეიქმნება მედიკამენტების დეფიციტი, კვლავ წარმოიქმნება შაავი ბაზარი; აიწევს ფასები და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის მედიკამენტები კიდევ უფრო მიუწვდომელი გახდება.

2. აღნიშნული 2–3 ბაზა გახდება დარგის მონოპოლისტი, მოისპობა ჯანსაღი კონკურენცია, რაც ცხადია, გამოიწვევს ფასების აწევას, უკვე მათ მიერ შემოტანილი მწირი ასორტიმენტის წამლებზეც.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბატონი კოტე ბარქაია მოსაზრება – ერთმანეთთან ახლომდებარე აფთიაქებში წამალზე ფასის ხელოვნურად ზრდა – სრულიად ახალი სიტყვაა თანამედროვე ეკონომიკაში, თუმცა ნუ იტყვით და ამ აფთიაქების მეპატრონეები მოგების გაზრდის მიზნით გამოიჩენენ შესაშურ კონსოლიდაციას, „შეკრავენ ერთმანეთთან პირს" და ერთობლივად მოუმატებენ მედიკამენტებს ფასს. ასე რომ, კანონის დანართში აფთიაქებს შორის მითითებული მანძილ–დაშორებები აუცილებელ პირობას წარმოადგენს სამკურნალწამლო საშუალებებზე დაბალი ფასის შესანარჩუნებლად.

25 დეკემბრის პარლამენტის სხდომაზე ბევრი ემუდარა ქალბატონი როზა ლორთქიფანიძე ბატონ კოტეს სოფლის აფთიაქების (წამლის მომზადების უფლებით) ფართის შემცირებაზე, მაგრამ ამ უკანასკნელმა ერთი გოჯიც არ დაუთმო, რადგან კარგად იცოდა, რომ უკან დასახვევი გზა არ არსებობს, მის უკან წამლის დეპარტამენტი დგას. აქვე მოიშველია ბატონმა კოტემ (მისივე სიტყვებია) სოფლის და ქალაქის მცხოვრებთა ერთნაირი ფიზიოლოგიური აღნაგობა და დასძინა, ამადაც ვერ შეეთავაზებთო სოფლის მშრომელებს 200 კვადრატულ მეტრზე ნაკლებ ფართზე მომზადებულ მიქსტურას, თუმცა კი იმ ავადსახსენებელი დანართის მე–8 პუნქტში ეკითხულობთ: სტაციონალური სამკურნალო დაწესებულებების აფთიაქი (წამლის მომზადების უფლებით) იხსნება სტაციონარში საწოლთა რაოდენობის შესაბამისად: 1– 100 საწოლამდე – არანაკლებ 50 კვადრატულ მეტრ ფართობზე.

აქ კი მომხსენებელმა აშკარად გასწირა 100 პაციენტი 200 კვადრატულზე ნაკლებ ფართზე მომზადებული წამლისათვის.

ეს შემთხვევით გაპარული შეცდომა არ გეგონოთ. უბრალოდ წამლის დეპარტამენტი, რომელიც მთელი სფეროს მონოპოლიზირებას აპირებს, სტაციონარის აფთიაქებს, რომელთაც კანონით ეკრძალებათ საცალო ვაჭრობა, კონკურენტებად არ თვლის.

დანართში მითითებული ფართების და მანძილ–დაშორებების აუცილებლობის ასახსნელად კანონპროექტს ერთვის ტაბულა. იქვე მითითებულია ლიტერატურა „ფარმაცია" 2.02.94 აღნიშნული ჟურნალი საქართველოში 1993 წლიდან არ შემოსულა. იგი არ აღმოჩნდა არც საჯარო და არც ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკებში. ჟურნალის მოსაპოვებლად დავიხმარე ჩემი უკრაინელი მეგობრები და აი ნანატრი სტატიაც ხელთა მაქვს. მაგრამ ოი საოცრებავ, ზემოთ აღნიშნული ტაბულა ჟურნალში არ აღმოჩნდა. შემდგომში გაირკვა რომ ტაბულა გაკეთებულია ჟურნალის სტატიის „ღრმა ანალიზის" შედეგად. აღშფოთება გამოიწვია, იმან, რომ ავტორებმა უგანსჯელად დახუჭეს თვალი აღნიშნულ ტაბულის ხარვეზებზე (რაც დანაშაულის ტოლფასია, რადგან იგი საფუძვლად უდევს კანონს). იგივეა ამ ტაბულიდან ორკეცეა, თითქოს ყველა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკაში, ასევე შეეციასა და დანიაში აფთიაქებს შორის მანძილი იყო არანაკლებ 500 მეტრისა. ცხადია, ჩვენ ვერ მოვთხოვთ კანონპროექტის ავტორებს დანიისა და შეეციის მაგალითზე გადავმოწმებინათ ინფორმაციის სისწორე, მაგრამ თბილისის მაგალითზე მაინც ხომ შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ, რომ 500 მეტრზე უფრო ნაკლებ მანძილზე საბჭოეთის პერიოდში ფუნქციონირებდა არა ერთი და ორი აფთიაქი, მაგალითად: თავისუფლების მოედანზე თითქმის ერთმანეთის გვერდზე განთავსებულია სამი აფთიაქი (1, 28–ე და მე–60), ლესელიძის ქუჩაზე ორი (75–ე და მე–17), რუსთაველის გამზირზე ორი (მე–15 და 52–ე) და მრავალი სხვა.

ტაბულის გაყალბებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სტატიაში მითითებულია ქვეყნები, სადაც აფთიაქები განლაგებულია 50, 80 და 110 მეტრ დაშორებებზეც.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დანართის მე–4, მე–5 და მე–6 პუნქტების დაკანონება გამოიწვევს დარგის მონოპოლიზაციას (რაც ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას) და მოსახლეობის არათუ გაუმჯობესებას, არამედ მკვეთრ გაუარესებას.

კანონი პარლამენტმა მიიღო, მაგრამ მე და ჩემი კოლეგები ღრმა რწმენას გამოთქვამთ, რომ ბატონი პრეზიდენტი ჩვეული სიბრძნითა და სიდინჯით მუდგება საკითხის გადაწყვეტას. გამოიყენებს რა თავის კონსტიტუციურ უფლებას, ვეტოს დაადებს კანონს. ამით სამარცხვინო ლაქას ჩამორეცხს შეგნებულად შეცდომაში შეყვანილ პარლამენტს.

ბ. ფამალაძე



ჩეჩნეთი და საქართველო

იბერიულ-კავკასიური მოდგმის ჩეჩნები და ქართველები მონათესავე და მეზობელი ხალხები ვართ. მიუხედავად ამისა, ბოლო წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები კავკასიის ამ ორ რესპუბლიკაში მოცემულ ისტორიულ პერიოდში სხვადასხვანაირად წარიმართა.

ჩეჩნებსა და ქართველებს ერთი საერთო მტერი გვყავს – რუსეთის იმპერიის სახით. ქართველებისაგან განსხვავებით, ჩეჩნებმა იარაღი აიღეს და რუსეთის იმპერიას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს. ერთ მუშტად შეკრულმა ჩეჩნმა ხალხმა ბრძოლის დიდი უნარი გამოავლინა. ჯერ კიდევ არ ვიცით, საბოლოოდ როგორი შედეგით დამთავრდება იმპერიასთან ეს შერკინება, მაგრამ, მიუხედავად შედეგისა, ჩეჩნთა ბრძოლა თავისუფლებისათვის მისაბაძია რუსეთის იმპერიის მიერ დამონებული ყველა ხალხისათვის.

ჩეჩნებმა ჯერ კიდევ 3–4 წლის წინ რუსეთის იმპერიის მიერ ინსპირირებული თითქმის სამოქალაქო ომამდე მისული სამი პუტჩი მოიგერიეს. ჩეჩენი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა უპირობოდ დადგა ეროვნული ხელისუფლების მხარეზე და იარაღით ხელში დაიცვა მოპოვებული თავისუფლება იმ მცირერიცხოვანი ჩეჩენი კოლაბორაციონისტებისაგან, რომლებიც იმპერიის დასაყრდენს წარმოადგენდნენ. ერის გამყოფელები სამივეჯერ სასტიკად დამარცხდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მოღალატეთა ჯგუფი რუსეთისაგან დიდ დახმარებას ღებულობდა მატერიალური, ფინანსური თუ სამხედრო სახით.

ამის შემდეგ რუსეთის იმპერიას სხვა გზა არ რჩებოდა. შარჩია შესაფერისი დრო კავკასიის ცენტრალურ სახელმწიფოში ამ დროისათვის ეროვნული ხელისუფლება უკვე დამხობილია და 1994 წლის დეკემბერში განახორციელა ღია ინტერვენცია ჩეჩნეთში. ჩეჩნთა ბრძოლამ თავისუფლებისათვის სამამულო ომის ხასიათი მიიღო. მოპოვებული თავისუფლების დასაცავად მთელი ჩეჩნი ერი ფეხზე დადგა და მეორე წელია გმირულ წინააღმდეგობას უწევენ რუსეთის რეგულარულ, შეიარაღებულ ძალებს. სულ ახლახს კი დიდ გამარჯვებას მიაღწიე – იმპერიამ ჩეჩენ განმათავისუფლებლებთან ბრძოლის ამ ეტაპზე სრული კრახი განიცადა.

საკითხავია, რატომ დაგვამარცხა რუსეთის იმპერიამ ქართველები ასე იოლად მაშინ, როცა ჩვენზე მცირერიცხოვანი ჩეჩენი ხალხი იმპერიასთან ბრძოლაში ასე ახლოსაა საბოლოო გამარჯვებასთან.

ჩეჩენი ერის ბრძოლის შემხედვარე ბევრი ქართველისაგან გაგიგონებთ, რომ ჩვენ, ქართველები, მეომარი ხალხი არა ვყოფილვართ.

თავი და თავი ჩეჩენი ხალხის ბრძოლისუნარიანობისა არის მათი ერთიანობა, ხოლო ქართველების დამარცხების მიზეზი რომ ერის გათიშულობაა, ამას ყველა კარგად ხედავს. საკითხავია მხოლოდ, რატომ ვერ მივაღწიეთ ერთიანობას ქართველებმა?

საქმე ისაა, რომ ქართველთა და ჩეჩენთა მიმართება რუსეთისადმი დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. გამომდინარე თავიანთი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან, ჩეჩნები არც ერთ ისტორიულ ეპოქაში არ დაურბევიათ თურქეთს, სპარსელებს, არაბებს თუ სხვა დამპყრობლებს. რუსეთია მათი პირველი და უკანასკნელი დამპყრობელი. რუსეთმა ჩეჩნეთი 50–წლიანი სისტემატიზებული ომების შემდეგ დაიპყრო. დღევანდელ ჩეჩნებს კარგად ახსოვთ ეს ბრძოლა. ახლოვთ 44 წლის საშინელი დეპორტაციაც, რომელიც მათ ისევ და ისევ რუსეთის იმპერიამ მოუწყო. ამ დეპორტაციამ, როცა მთელი ჩეჩენი ერი აყარეს სამშობლოდან და ყაზახეთის სტეპებში გადასახლეს, ათიათასობით ჩეჩენის სიცოცხლე შეიწირა. თუ იმასაც აღვნიშნავთ, რომ ჩეჩნებმა, მიუხედავად ყველაფრისა, კარგად შემოინახეს ძველი ადათ–წესები. წეს–ჩვეულებები, ცხოვრების კავკასიური წესი, გასაგები იქნება, რომ მათთვის რუსული ცხოვრების წესი მიუღებელია.

ჩვენს შემთხვევაში კი საქმე ბევრად სხვანაირად წარმოსდგება. გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატის დარღვევისა და 1801 წელს განხორციელებული ანექსიის მიუხედავად, ქართველი ხალხის მნიშვნელოვანმა ნაწილმა რუსეთი არ აღიქვა დამპყრობლად. პირიქით, ქართველი ხალხის გარკვეული ნაწილი რუსეთის იმპერიას ჩვენს გადამარჩენელს უწოდებდა და უწოდებს. ასეთ პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ 80–იანი წლების ბოლოსა და 90–იანი წლების დასაწყისში ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ დიდი მუშაობა გასწია რუსეთის იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკისა და ნამდვილი მიზნების გამოსაჩენად, ქართველი ინტელიგენციის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ლოიალური დარჩა რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ საქართველოში. გამომდინარე აქედან, რუსეთის სახელმწიფო ქართველი ხალხის საკმაოდ დიდმა ნაწილმა ვერ გაითავისა მტრად. ხშირი იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ქართველი კაცი ხმას აძლევდა საქართველოს დამოუკიდებლობას, ხოლო რუსეთ– საქართველოს ადმინისტრაციული საზღვრის სახელმწიფოთაშორის საზღვრად გადაქცევას მტკიცენულად განიცდიდა.

ქართველი ხალხის გარკვეული ნაწილის ასეთი განწყობიდან გამომდინარე, პასიურმა დამოკიდებულებამ მიმდინარე მოვლენებისადმი საშუალება მისცა რუსეთის იმპერიულ ძალებს, მცირერიცხოვან კოლაბორაციონისტ და კრიმინალურ ბანდებზე დაყრდნობით განეხორციელებინათ საქართველოში ეროვნული ხელისუფლების დახობა, რაც რუსეთის იმპერიის უდიდესი გამარჯვებაა კავკასიაში. რომ არა იმპერიის ეს გამარჯვება, არ იქნებოდა ჩეჩნეთის ომი. რუსეთის იმპერია ვერ გაბედავდა ჩეჩნებთან ომს, რადგან საქართველოს ეროვნული ხელისუფლება მხარს დაუჭერდა ჩეჩნთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ამ შემთხვევაში კი კავკასიის სხვა სახელმწიფოებიც უფრო გაბედულად იმოქმედებდნენ და ჩეჩნთა ბრძოლას ისინი მხარს დაუჭერდნენ. შედეგად მივიღებდით რუსეთ–კავკასიის ომს. გაერთიანებული კავკასია რუსეთთან ომს აუცილებლად მოიგებდა – ერთიანი კავკასია თვითონ დაარეგულირებდა აფხაზეთის, სამაჩაბლოსა თუ ოსეთ–ინგუშეთის კონფლიქტებს.

დროა გაიგოთ, რომ რუსეთის იმპერია ისეთივე დამპყრობელია საქართველოსა, როგორც წარსულ საუკუნეებში სპარსეთი, თურქეთი. რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ისეთივე შემართებით უნდა იბრძოლოს ქართველმა ხალხმა, როგორი შემართებითაც შაჰ–აბასისდროინდელ სპარსეთს ებრძოდა, ვინადან არც „მეფე" ბორისია შაჰ–აბასზე ნაკლები პირსისხლიანი (შაჰმა თუ 100 ათასი ქართველი აჰყარა თავისი მშობლიური ადგილებიდან, ბორისმა 300 ათასი ქართველი აჰყარა, ორმოცდაათი ათასი კი დაგვიხოცა).

სპარსეთთან, თურქეთთან თუ სხვა საზარეთელ მეზობლებთან სისტემატიზებულ ომებში ქართველები ჩვენს სახელმწიფოებრიობას, დამოუკიდებლობას ეიცავდით, ხოლო რაც შეეხება სარწმუნოებას, ქრისტიანული სარწმუნოება საშუალება იყო, უფრო მეტი წარმატებით დაგვეცა ჩვენი სახელმწიფოებრიობა მოძალადე მტრისაგან. მაგრამ თავი და თავი ჩვენი თავგანწირვისა სისტემატიზებულ ომებში ჩვენს საზარეთელ მეზობლებთან სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის დაცვა იყო.

თუკი ჩვენ მათთან ბრძოლაზე უარს ვიტყოდით, დავთმობდით სახელმწიფოებრიობას და თურქეთს თუ სპარსეთს შემადგენლობაში შეიდოდით ვილაეთის, სახანოს თუ „გუბერნიის სახით, ეს ომები თავისთავად შეწყდებოდა და 200–წლიანი მშვიდობიანი თანაცხოვრება მათთანაც გარანტირებული გვექნებოდა, მაგრამ ამაყ ქართველებს მხოლოდ და მხოლოდ დამოუკიდებლობა გვსურდა.

მეფე ერეკლე II იმედოვნებდა, „ერთმორწმენე" რუსეთი დაგვეხმარებოდა სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაში, მაგრამ სწორედ რუსეთის ხელში დავკარგეთ დამოუკიდებლობა, რომლის დასაცავადაც ჩვენი წინაპრები საუკუნეების განმავლობაში სისხლს ღვრიდნენ. არც მშვიდობა მოუტანია რუსეთთან „შერთებას". ჩვენ ძალით მიგვაღებინეს მონაწილეობა ყველა იმ ომში, რომელიც რუსეთის იმპერიამ თავისი მიზნების განსახორციელებლად გაიჩაღა. ათასობით ქართველი დაიხოცა I მსოფლიო ომში. II მსოფლიო ომმა 300 ათასი ქართველის სიცოცხლე შეიწირა. ბევრი ქართველი აფღანეთის ომში დაიღუპა. და ბოლოს, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომში რუსეთის იმპერიამ 50 ათასზე მეტი ქართველი დაგვიხოცა!

რუსეთის იმპერიამ საერთოდ მიზნად დაისახა ქართველი ხალხის, ერის მოსპობა. გასულ საუკუნეში სამცხე–ჯავახეთიდან მკვიდრი ქართველები აჰყარეს და თურქეთის შორეულ პროვინციებში გადასახლეს, მათ ადგილზე კი არზრუმელი სომხები და მათთან ერთად რუსი კოლონისტები ჩამოასახლეს რუსეთის შიდა გუბერნიებიდან.

რუსეთის იმპერიამ საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის ძირფესვიანად შეცვლა განიზრახა. საქართველოს ეთნიკური აჭრელებით და ავაურ მიწებზე უცხოტომელთა ჩამოსახლებით მიზნად დაისახა ქართველი ხალხის გადაგვარება. თუკი 1801 წელს ქართველები საქართველოს მოსახლეობის 93% შეადგენდით, XIX საუკუნის ბოლოს და თუნდაც ახლაც ქართველები ჩვენს საკუთარ სამშობლოში ძლივს ვაღწევთ დაახლოებით 55–60%–მდე.

ასე რომ, რუსეთის იმპერიის ხელში ჩვენ, ქართველები, გაჭრობის პირას ვართ მისულნი. რუსეთის იმპერიას ქართველებისათვის მარტო ბოროტება მოაქვს. ფელიც რომ არ გავიხსენოთ, მარტო უახლოესი წლების ისტორიაც კმარა იმისათვის, რომ ქართველი ერი მიხვდეს, რა ვერაგ მტერთან გვაქვს საქმე. წაგვართვა აფხაზეთი, წაგვართვა სამაჩაბლო, მილიონნახევარი ქართველი სამშობლოდან გაქცეულია.

ერი ყოფნა–არყოფნის ზღვარზე დგას. როგორც არასდროს, აუცილებელია ყველა ეროვნული ძალის გაერთიანება და ბრძოლა ბოროტების იმპერიის წინააღმდეგ. როგორც ამას ჩვენი მეზობელი ჩეჩნები აკეთებენ.

ქართველებმა უნდა ვიცოდეთ, რომ სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში ჩვენი უპირველესი სტრატეგიული მოკავშირენი–მომძე ჩეჩნები და ინგუშები არიან და ამის დაუნახობამს ისტორია არ გვაპატიებს!

რევაზ გულედანი

XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

ლეო ქიაჩელი

ცხოვრება და მოღვაწეობა

მკითხველისადმი

ძვირფასო მეგობრებო, ლეო ქიაჩელის ბიოგრაფია, რომელიც ჩვენი გაზეთის მე-2 ნომერში დაიწყო, ტექნიკური რედაქციის წყალობით გამოქვეყნდა შუა ნაწილიდან. ასე რომ, დღევანდელი ნომრის პუბლიკაციის გაგრძელება შეგიძლიათ იხილოთ მე-2 ნომერში, ხოლო მომდევნოში გამოქვეყნდება მე-2 ნომრის პუბლიკაციის გაგრძელება.

შეცდომისათვის ბოდიშს ვიხდით. ჩვენის მხრივ, საახალწლოდ არეულ ტექნიკურ რედაქციას დავალაგებთ...

ადამიანი ხშირად საზოგადო იდეალების სამსახურისათვის საკუთარი ნებით ირჩევს მშფოთვარე და დრამატულ ცხოვრებას.

თუ ეს იდეალები ჭეშმარიტად სიკეთის მომტანი აღმოჩნდა, მისი მსახური ბედნიერია და განვლილ მძიმე ცხოვრებაზე აღარას ნაღვლობს.

მაგრამ პიროვნება ორგზის უბედურია მაშინ, თუ ის, რასაც წარსულში ემსახურებოდა და რის გამოც ათასგვარ ტანჯვა-წამებას გაუძლო, ერთ მშვენიერ დღეს ბოროტებად მოევლინება.

უბედურია არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამად უტანჯია, უბედურია იმდაც, რომ ეს ტანჯვა არავის მოუხვევია მისთვის თავს, საკუთარი ნებით აირჩია, რის გამოც უფრო მეტად იპყრობს უსაყვედურობისა და განვლილი ცხოვრებით უკმაყოფილების გრძნობა.

ყოველივე ამის გაცნობიერებამ ან უნდა გაბოროტოს კაცი, ანდა თვითგანწმენდის გზაზე შემდგარმა ახალი ცხოვრება უნდა დაიწყოს.

მე-20 საუკუნის საქართველოს მრავლად ჰყავს სწორედ ასეთი ბედის მწერლები.

ამგვარი ხვედრი ხვდა წილად, მაგალითად, იროდიონ ევდოშვილს. ევდოშვილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და ამ პარტიის ერთგული მსახური იყო, მაგრამ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ, პოეტმა დასწყევლა ეს პარტია და ახალი ცხოვრება დაიწყო.

ამ მხრივ წინაალმდეგობრივია დიდი მწერლის, ლეო ქიაჩელის, ცხოვრების გზაც.

ქვემოთ, ცხადია, ვისაუბრებ იმის შესახებ, თუ რაში გამოიხატა ეს წინააღმდეგობრიობა, მაგრამ ვიდრე მწერლის ბიოგრაფიას გავადევნებთ თვალს, გარკვეული მოსაზრებით, ლეო ქიაჩელის ერთი ნოველის „შეურაცხყოფილის" შინაარსი მინდა გაგაცნოთ. ეს ნოველა დაწერილია 1918 წელს და განზოგადებული სახით გამოხატავს იმას, რაც ზემოთ ვთქვი. კერძოდ, ადამიანმა შესაძლოა რამდენიმე წელი, ან მთელი ცხოვრება იცხოვროს ისე, შემდეგღა აღმოაჩინოს, რომ მისი დამოკიდებულება საგნებთან და მოვლენებთან ილუზიური ყოფილა.

ნოველის შინაარსი ასეთია: (პერიფრაზი ეკუთვნის ლ.პრეგაძეს) ახალგაზრდა სტუდენტი ნაჭირავებ ბინაში ცხოვრობს. ერთ მშვენიერ დღეს, მისი ოთახის მომიჯნავე პატარა ოთახი ახალგაზრდა ქალმა დაიქირავა. იგი ჭაბუკს პირველი დანახვისთანავე თვალში მოუვიდა, მაგრამ იმასაც მიხვდა, რომ ამგვარი მეზობლობის პირობებში მეცადინეობა ყოველდ შუძლებელი ხდებოდა. მით უმეტეს, როდესაც თხელი კედელი ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევდა გვერდით ოთახში წარმოქმნილ ბგერებს. გადაწყვიტა, პირველ ხანებში დაეინებით ესმინა და ყური შეეჩვია ხმაურისათვის, რათა შემდეგ, იქნებ გაადვილებოდა წიგნის კითხვა. წევს და გარკვევით ესმის მცირედი გაფაჭუნებაც კი. თითქოს ხედავს კიდეც ქალის ყოველ მოძრაობას. აი, იგი ადგა. დაჯდა, რაღაც ნივთი გადადგა, გაიარ-გამოიარა. შემდეგ გარეთ გავიდა, კარი მიიხურა, მაგრამ, როგორც ჩანს, მალევე შემობრუნდა, რადგან შრიალი გაისმა: აბა, წიგნს ფურცლავს. მერე რაღაც გაწკარუნდა და ისევ შრიალი ესმის. ეტყობა, ჩემოდანი გახსნა და თეთრეული ამოალაგა, ლოგინი გაშალა. საწოლი მათი ოთახების გამყოფ კედლზე მიუდგამს. რაღაც ენიშნა ჭაბუკს: „ამით ნამდვილად ჩემი ყურადღების მიპყრობა უნდაო" – გაიფიქრა. ისევ შრიალი. კაბას იხდის, შემდეგ თმებს ივარცხნის, დაწვა... სტუდენტმა ვეღარ გაუძლო ცდუნებას, ზიარ კედლებში დატანებულ ჩარაზულ კარს ეცა, შეამტვრია და ქალის ოთახში ამოყო თავი.

ოთახში არავინ იყო. ლოგინიც აუშლელი დაუხვდა. მიიხედ-მოიხედა და ხელად აღმოაჩინა მისი გამაღიზიანებელი ხმაურის წყარო: „ფანჯრის ერთი ნახევარი ცოტაზე გამოღებული აღმოჩნდა, ოთახში სიო შემოდიოდა, მეორე, მიხურული ნახევრის ფარდას ალმაცერად ხედებოდა და შრიალ-შრიალით არხევდა".

ეს სქემატურად გადმოცემული, ერთი შეხედვით ანეკდოტური სიუჟეტი მწერალმა საუკეთოდ გამოიყენა ფილოსოფიური განზოგადებისათვის.

სანამ თავის ამ „თავგადასავალს" მოგვიყვებოდა, ნოველის გმირი ასეთ ფიქრებს გვიზიარებს: „იქნებ ის, რაც ჩვენ ასე გვიზიდავს ცხოვრებაში, რაც ამდენ აღტაცებას იწვევს ჩვენში და ხშირად თავსაც კი გვაწირვინებს, თავისთავად არაფრად ღირდეს".

„ამხანაგებო, არსებობს თუ არა მოვლენა, გინდ ქვეყნიერება თავისთავად... თუ იგი ჩვენი ფანტაზიის ნაყოფია? რანაირია იგი თავისთავად და რანაირია იგი ჩვენი ფანტაზიის ნაყოფი?"

აი, ამ კითხვას სვამს ნოველის გმირის პირით ლეო ქიაჩელი და შეიძლება ვიფარაფდოთ, რომ თავისი ახალგაზრდობისდროინდელი ცხოვრების მაგალითიდან გამომდინარეც აწუხებდა მას ეს კითხვები. უფრო სწორად, 1918 წელს, როცა ნოველა „შეურაცხყოფილი" იწერებოდა, მწერალმა უკვე კარგად იცოდა, რომ ის, რაც მას ადრე ასე იზიდავდა, რაც ამდენ აღტყინებას იწვევდა და თავსაც კი აწირვინებდა, თავისთავად არაფრად ღირდა... ამ შემთხვევაში ვგულისხმობ სოციალ-დემოკრატთა იდეალებს, რომლის მსახური იყო და რომლისთვისაც ახალგაზრდობის დროს თავს სწირავდა ლეო ქიაჩელი.

გავშვებისა და სიჭაბუკის წლები

ლეო მიხეილის ძე შენგელაია (ქიაჩელი) დაიბადა 1884 წლის 7 თებერვალს (ძველითი) ზუგდიდის მაზრის სოფელ ობუჯში. მამამისი ღარიბი აზნაური იყო, მაგრამ ძველი ჩვეულებისამებრ „კეთილშობილი" აზნაურის ოჯახს ახალშობილი მაინც გაუძღვებია.

პატარა ლეო 7 წლამდე მეზობელ სოფელში იზრდებოდა ძიძის ოჯახში. შემდეგ მცირე ხანს დედასთან დაჰყო ობუჯში. 1892 წელს კი მამამისი საცხოვრებლად ზუგდიდს გადადის და ლეო ჯერ ზუგდიდშია, შემდეგ კი ქუთაისში მიჰყავთ სასწავლებლად.

ქუთაისში ლეო შენგელაია კერძო მასწავლებელში მიაბარეს, რათა რუსული ესწავლა და კლასიკურ გიმნაზიაში შესასვლელად მოამზადებულიყო (რუსულის არმცოდნე ბავშვებს გიმნაზიებში არ ღებულობდნენ). ლეო, 11 წლის ასაკში, 1895 წელს შეჰყავთ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. ასე დაგვიანებით მისი სასწავლებელში მიბარება განაპირობა იმ ფაქტორამ, რაც ლეო შენგელაიას მამას, მიხეილს შემოთხვა. მიხეილი (მალხაზ) ზურაბის ძე შენგელაია სასამართლოში მუშაობდა. მას ჩხუბი მოუვიდა მოსამართლესთან და ამ უკანასკნელს სილა გააწნა, რის გამოც დააპატიმრეს და აზნაურობა ჩამოართვეს.

1893 წელს საქართველოში ჩამოვიდა იმპერატორი ალექსანდრე მესამე. ლეოს დედამ, ხვიტიას ქალმა, რომელიც შეძლებული აზნაურის ოჯახიდან იყო, მოახერხა იმპერატორისათვის თხოვნა მიეწოდებინა.

მიხა შენგელაია იმპერატორის წყალობით კვლავ ძველ პატივში აღადგინეს, აზნაურობა დაუბრუნეს. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ლეოს კლასიკურ გიმნაზიაში შესვლაზე ზრუნვა.

პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ მიხეილ შენგელაიას, ისევდაც ღარიბ აზნაურს, უკანუკან წასული ოჯახი წელში ვეღარ გაუმართავს. ამაზე მეტყველებს გიმნაზიიდან შენგელაიასგან მშობლებთან გაგზავნილი ერთი ბარათი, რომელიც დათარიღებულია 1895 წლის 30 ნოემბრით: „ჩემო ბატონო დედა!

პირველად ვისურვებ თქვენს კარგად ყოფნას და ღმერთსაც ვთხოვ, რომ თქვენ კარგად ბრძანდებოდეთ. მე, თუ მკითხავ, კარგად ვარ და კარგად ვსწავლობ, ორი და სამი არაფერში მაქ. სუყარფელში ოთხი და ხუთი მაქვს. გიგზავნი ჩემს ბალს, ჩემო, ჩემო დედა, *სამანი არა მაქვს, სულ დაწყვეტილია.* სუყველა მოკითხვას გითვლიენ. ჩემ მაგიერ სუყველას ხუთ-ხუთჯერ აკოცე–

თქვენი შვილი ლეონ შენგელაია.

დღევანდელ მკითხველს არ უნდა გაუკვირდეს ის, რომ ეს მცირე ბარათი ლიტერატურული ქართულით არ არის დაწერილი. გიმნაზიაში მოწაფენი რუსულად სწავლობდნენ, მშობლიურ ენას კი, არა თუ კარგად ასწავლიდნენ მათ, არამედ რუსიფიკატორული პოლიტიკის მიზანი ის იყო, რომ ქართველ ბავშვებს საერთოდ დაევიწყებინათ ქართული ენა.

ობუჯელი ყმაწვილი გიმნაზიაში სწავლის ბოლო წლამდე ცოდნის შესაძენად დროს და ენერგიას არ იშურებდა. დედისადმი გაგზავნილ ბარათებს ქვეშ აწერს: „შენი მორჩილი შვილი ლ.შენგელაია", მაგრამ მის ცხოვრებაში დადგა მომენტი, როცა მშობლების მორჩილი შვილი ერთბაშად გამოიცვალა, მისი გულისყური სხვა მოვლენებმა დაიპყრო.

90-იანი წლების ქუთაისში, ისე როგორც იმპერიის სხვა ქალაქებში, ახალგაზრდა ყმაწვილები გაიტაცა ახალი დროის, რევოლუციური მოძრაობის ტალღებმა. 1903 წლიდან იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ხდება. „მე არ ვტოვებდი არც ერთ დემონსტრაციას, ვფრცელებდი პროკლამაციებს და ვაწვდიდი ჭარხნებსა და ფაბრიკებთან არსებულ მუშათა წრეებს არალეგალურ ლიტერატურას", – იგონებდა შემდეგში მწერალი.

1904 წელს ლეო შენგელაია ამთავრებს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიას და სასწავლებლად გაემგზავრება ხარკოვის უნივერსიტეტში, სადაც მხოლოდ ერთი სემესტრი ისწავლა იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დახურვის გამო იძულებული გახდა უკანვე ჩამობრუნებულიყო.

1904-1905-1906 წლები იყო შენგელაიასათვის პროფესიული რევოლუციური მოღვაწეობის წლები.

არალეგალური კრებები. გაფიცვების ორგანიზება. დემონსტრაციები და მიტინგები. მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციების გავრცელება. იარაღის შეძენა. მოწოდებები მთავრობის საწინააღმდეგოდ გამოსვლებისა და ხელისუფლების გადატრიალებისათვის. წითელრაზმელებთან ერთად შეიარაღებული თავდასხმები, შეძლებულთა „ექსპროპრიაცია"... ყველა ამ საქმეში ლეო შენგელაია ერთი აქტიური და თავგამოდებული რევოლუციონერთაგანია.

დადგა 1906 წელი. დასავლეთ საქართველოს ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ჯარები შეესია. რომში „სისხლი" ამ დროს თვით ლეო ქიაჩელი ასე გვიხასიათებს: „დიდი რეაქციის თარეში იდგა საქართველოში.

სამხედრო წესები. საველე სასამართლოები. სახრჩობელები. ეგზეკუციები. მასიური გადასახლება. ხვრეტა. დარბევა.

აჭრობდნენ 1905 წლის რევოლუციის ცეცხლს.

მაგრამ ხალხი მაინც არ ნებდებოდა, ბორგავდა. შფოთს განაგრძობდა. ბევრი შეხიზნებოდა ტყესა და მთებს, უმთავრესად წითელრაზმელები. პროფესიონალ რევოლუციონერებს და პარტიულ მუშებს კიდევ ქალაქებში გაეჩინათ საიდუმლო ბინები. არ სცხრებოდნენ. ბრძოლას მაინც განაგრძობდნენ.

დაიწყო ტერორი და ექსპროპრიაცია.

თავდაპირველად ამ ბრძოლას დისციპლინის უღელი ედგა... გამოსვლების სადავეები პარტიებს ეჭირათ ხელთ.

მალე დემობილიზაციამ იჩინა თავი.

დაიწყო „დამოუკიდებელი" ექსპროპრიაციები.

მერე გამოჩნდნენ ვიღაც-ვიღაცები, რომელთაც შემოიღეს კუბოიანი წერილების წერა და მუქარით ფულის მოთხოვნა.

გახშირდა ვაჭრების გატაცება ტყეში და მათი დაბეგვრა და სხვა ათასი უწესობა.

მთავრობა პოლიტიკურ პარტიებს ამრალებდა ამ ამბებს, პარტიები კიდევ მთავრობას.

ანარქია იყო გამეფებული".

ლეო შენგელაია, ცხადია, უკვე არალეგალურად ცხოვრობს. მასზე ძებნაა გამოცხადებული.

– რას გვერჩი შვილო, რა დაგიშავებია? მოხუცებულობას რატომ მიმწარებ, რომ ასე თავი გაგიწირავს? – მოსთქვამს მისი ცალად დარჩენილი, ფრთამოტეხილი, ავადმყოფი დედა (ამ დროისათვის ლეოს მამა აღარ ჰყავდა. მიხეილი ჭლექით გარდაიცვალა 1902 წელს).

„1906 წლის აპრილში, სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის შემდეგ, ამნისტიით რევოლუციონერთა დევნა დროებით თითქოს შეწყდა. – წერს ათოფურია – თვალის ასახვევად ზუგდიდის ციხიდან გაუშვეს ზოგიერთი პოლიტიკური პატიმარი. ამდე დროს შენელდა სეჯო პირთა მშობლების, მათი ოჯახების დევნა-შევიწროება. გაძლიერდა მათ მიმართ შემრიგებლობის, გადმობირების, ვითომდა პატიების და ამ გზით რევოლუციონერთა ადგილსამყოფელის დადგენის ტაქტიკური ღონისძიებები. ზოგიერთი აყვა ამ ცთუნებას. მათ შორის იყო სრულიად ახალგაზრდა ლეო შენგელაიაც. იგი ისე გაიტაცა დედის ნახვის სურვილმა, რომ მასის ერთ მშვენიერ ღამეს მოულოდნელად სახლში დაბრუნდა. აქ მას არავითარი ხიფათი არ შეხვედრია. მყუდროდ გაიარა რამდენიმე დღემ. ყველაფერი თითქოს წარსულს და მოგონებას ჩაბარდა. შინაურების რჩევით 1906 წლის 12 ივნისს იგი თვითონ გამოცხადდა ზუგდიდის სამაზრო პოლიციის სამმართველოში, რათა ამით ეჩვენებინა თავისი „უდანაშაულობა", მაგრამ ეს იყო საბედისწერო შეცდომა".

დაპატიმრება. ქუთაისის ციხე.

1906 წლის ზაფხულში ლეო შენგელაია დაპატიმრეს. ყველა ბრალდება, რომელიც მას წაუყენეს, სრულიად უარყო და მოითხოვა – მიეცათ მისთვის საშუალება ხარკოვის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებისა. მაგრამ ადმინისტრაციის გბრიყვება იოლი არ აღმოჩნდა. ზუგდიდის მაზრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ვინმე სოღოროვი სტუდენტ შენგელაიას უმკაცრესად დასჯას ითხოვდა, რათა ერთხელ და სამუდამოდ ეხსნათ თავი „ასეთებისაგან" და „დაემყარებინათ ხალხში მშვიდობა".

ქიაჩელი ჯერ ზუგდიდის საპყრობილეში ჰყავდათ, შემდეგ კი ეტაპით ქუთაისის ციხისაკენ გაუყენეს გზა. პატიმრებს შეიარაღებული ყაზახები „მიაცილებდნენ". ზუგდიდში ხმა გავრცელდა, რევოლუციონერები „სტოლიპინის ჰალსტუხზე" ჩამოსაკიდებლად მიჰყავთო. ადგილი წარმოსადგენია, რა დღეში ჩავარდებოდა ლეოს დედა. საბედნიეროდ, ეს ხმები არ აღმოჩნდა მართალი. ლეო შენგელაიამ ეშაფოტზე არა, მაგრამ ქუთაისის ციხეში კი ამოჰყო თავი. თუმცა ის პირობები, რაც ქუთაისის ციხეში დახვდა, 22 წლის ახალგაზრდას ეშაფოტისაგან დიდად განსხვავებული არ მოეჩვენებოდა. 3-4 კაციან საკანში შეყრილი იყო 15-მდე კაცი. პატიმრებს ეკრძალებოდათ სარკმელთან მისვლაც კი, წინააღმდეგობის შემთხვევაში ნაბრძანები იყო ტუსაღისათვის ესროლათ. ერთი ახალგაზრდა სხვების დასაშინებლად სულ უბრალოდ მოჰკლეს კიდეც.

ციხის მძიმე პირობებს თან დაერთო დატყვევებულთა ტიფით დაავადებაც. „ტიფით ავად გახდა ლეო შენგელაიაც. – იგონებდა ამ ამბებიდან დიდი ხნის შემდეგ მწერალი დავით სულიაშვილი, რომელიც იმხანად ქიაჩელთან ერთად ქუთაისის ციხის პატიმარი იყო. – იგი საავადმყოფოში წაიყვანეს და ცალკე საკანში დაწყვინეს. მე მარტო დავრჩი, გული დამეხარა, ღამეები არ მეძინა. „ლეო მარტოა, იქნებ უჭირს, ვინაა მისი პატრონი?! – მიტრიალებდა თავში. გადავწყვიტე ციხის ადმინისტრაციისათვის მეთხოვა – ნება მოეცა ჩავსულიყავი მასთან და მომვლო. უფროსმა ნება დამრთო. მეც ლეოს საკანში გადავბარგდი. და თუმცა ამხანაგები მეუბნებოდნენ – შენ იმას ვერაფერს დაეხმარები, ტიფი აუცილებლად შენც გადმოგედება და ორივეს ვინღა მოგვლითო, მე მაინც ჩემი შეკასრული.

სოფლიდან ლეოს დედა ჩამოვიდა. მას ნება დართეს საავადმყოფოში თავისი შვილი ენახა. მომცრო ტანის მოხუცი დედა წუწუნებდა, რაღაცას მოსთქვამდა. ხან შვილს გადაეხვეოდა, ხან მე მიალერსებდა. ფუსფუსებდა. რა უნდა ემოქმედა, აღარ იცოდა. ავადმყოფ შვილს რომ უცქეროდა, იკრემლებოდა. საკნის კარი ღია იყო. სოფლიდან ჩამოტანილი ხაჭაპურები, მოხარშული ქათამი დერეფნიდან საკანში შემოტანა, საკაზე დაწყო. ის კი არ იცოდა, რომ მის შვილს, არაფერი არ ეჭმეოდა. კიდევ იკრიახა, კიდევ გადაეხვია შვილს, მეც მხრებზე მომეხვია, შემეედრა – შვილს მომიხედეო.

ნახვის დრო გათავდა. გულდათუთქული, რომ ავადმყოფ შვილს ციხეში ტოვებდა, ჭკალე და ნელი ნაბიჯით გავიდა".

რამდენიმე კვირის შემდეგ ქიაჩელმა ავადმყოფობას თავი დაღწია. გამოკეთდა, გამოჯანმრთელდა, მაგრამ დედის საკოდაობის წარმოდგენა სულს უფორიაქებდა. ლეო შენგელაია, დედის მორჩილი შვილი, რამდენიმე წლის წინათ კარგ „ატმეტკებზე" მზრუნველი და აკადემიური განათლების მიღებაზე მეოცნებე ყმაწვილი, ახლა ციხის საკანშია გამოკეტილი და დღეს-ხვალ ჩამოხრჩობა ან სამუდამოდ გაციმბირება მოელის. მერედა რისთვის გაიმრუდა გზა? გულისყურით უსმენს პოლიტიკურ პატიმრებს, წითელრაზმელებს, ტერორისტებს. ერთი ბაჭაობს, – შვიდი ტერორისტული აქტი მაქვს მოწყობილი, მეორე თოთხმეტი მკვლელობის ორგანიზატორობაზე დებს თავს. უსმენს ამ ხალხს ჭაბუკი ქიაჩელი და თანდათანობით მისი კეთილშობილი ბუნება ივსება ზიზღით თავისი განვლილი საეჭვიანობისადმი. ისიც ხომ ამ გზაზედ იყო შემდგარი,

გაგრძელება მე-6 გვ.

ინკრეტიზა

ძველი ლექსები დღევანდელი სათქმელით

ავადმყოფი

არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!..
ვინც შენატრის იმის სიკვდილს
უმალ მასვე დაამიწებს!
ბევრი~ ბრძოლით დაღალულსა
ეჭირვება მოსვენება!
შემცდარია ვინც გულს იტეხს,
წესი არი და ბუნება!
ჩვენ კი ჩვენდა თავად გეტყვით:
გულსა სწამს და ჭკუას სჯერა,
რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა
მომავალი ბედისწერა!
მისთვის რომ დღეს ველარ გვარჩენს,
არა გვმართებს ორგულობა!
ჩვენს წინაპრებს თუ ჰქონიათ
ჩვენცა გვქონდეს დიდსულობა!
დევ, მისთვის გაველარიბდეთ,
ზურგს მოვიდეათ საწყლის გუდა
პატიოსან ღარიბს რით სჯობს
გამდიდრებული იუდა?!
არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს
და როდესაც გაიღვიძებს,
მოიგონებს იმათ სახელს,
ვისც დღეს იმას არ იეიწყებს.

აკაკი წერეთელი
1880 წ.



ერთ დროს დატყვევებული საწარმოებიდან

მიხეილ ჯავახიშვილი

დამენატი ჯაჭვი

გაგრძელება (დასაწ. იხ. „საქართველო“ №1,2)

ბაჰრა იმ დღიდან აპოლონი. დღე არ გაივლდა, რომ დარო პროკურორის კარებთან არ ატუზულიყო. მერმე, ხელცარიელი და დარეტიანებული დანიშნული მეტეხს მიადგებოდა და შორიდან მოაჯირიან ფანჯრებს შესცქეროდა, მაგრამ აპოლონს თვალიც ვერსად მოჰკრა. ერთხელ ლოგინად ჩაეარდა. ორი კვირის შემდეგ ძლივს წამოდგა და გაიგო, რომ აპოლონისათვის სამხედრო სასამართლოს ყუმბარების შენახვისთვის ოცი წლის კატორღა მიესაჯა. სულიერი სენი უმალვე დაუბრუნდა და გაუმძაფრდა. ღიმილი მოკვდა იმის მხიარულ პირსა და თვალებში, ხან საბელს ეტანებოდა, ხან საწამლავს ეძებდა.

ერთხელ რაღაც გაიგო. თვალის მდევნელს გაეპარა და სადგურზე გავიდა. ცალკე, მოშორებით ორი ვაგონი იდგა, ჯარისკაცებით და ჟანდარმებით შემოხვეული. დარო თვალახვეულიეთ დაბორიალებდა. მალე ქვეიდან ტუსაღების რაზმი გამოჩნდა, ისიც ჯარისკაცებით შემორტყმული. ისმოდა ხუნდების ჯღარუნი და დარაჯების შეძახილი:

– Посторони-и-ись!

– Проходи-и!

აგერ, აპოლონიც გამოჩნდა: მაღალი, ჩასხმული, თამამი, გინგლიანი, თიხისფერ ტუსაღური ტანისამოსით და ზურგზე აკიდებულ მცირე ბოხჩით.

– აპოლონ! აპოლონ! მე ვარ!.. აქა ვააარ!

და დარაჯების რკალი ისე შეარღვია, რომ ყველანი დააფეთა და შეაჩერა.

ბატონებო, მიუშვით დარო აპოლონთან, მიუშვით! რად შემოეხვიეთ ამოდენა ხალხი ერთ ულონო ქალს?! რა გინდათ ერთ უძლურ ავადმყოფისგან, რა?! აგერ, იმ ტუსაღთან მიუშვით. აგერ, იქ რომ გახვევებულა.... ტუჩები რომ უთრთის და ცრემლი რომ ღაპა-ღუპით ჩამოსდის. მხოლოდ ორი სიტყვა ათქმევინეთ დაროს, მხოლოდ ორი. თუ მოხვევნა ან კოცნა არ შეიძლება, შორიდან მაინც ეტყვის სათქმელს და მაშინვე წაეა.

– გამიშვით!... თავი დამანებეთ!... მომშორდით!

– დამშვიდდით, ქალბატონო, დამშვიდდით. – ეჩურჩულება დარაჯების აფიცერი. – მერე გაჩვენებთ, როცა ტუსაღები ვაგონში ჩასხდებიან.

ჰოი, უცნობო, ღმერთმა მოგცეს კეთილი ბედი და დღეგრძელობა. თქვენი გვარი და სახელი? შალვა შველიშვილი? ნეტა როგორ, ან როდის გადაგიხადოს დარომ მადლობა! ღმერთმა გიკურთხოს თუ შენცა გყავს საბედო. ალბათ გეყოლება, თორემ ეგრე რა მოგალბობდა და დაროს უბედურ თავს ეგრე ვინ შეგაბრალებდა?! მადლობელი, გენაცვალოს დარო, ბატონო შალვა, მადლობელი!

დარაჯების ირგვლივ ტუსაღების მშობლები და ნათესავები დაბორიალებდნენ და დასაკარგად განწირულებს გლოვობდნენ. ზოგნი ჩუმად სტიროდნენ, ზოგნი კი დაჭრილი ნადირივით ბღაოდნენ. ყველანი კატორღელებს ეტანებოდნენ, მაგრამ ხიშტების რკალს რომ აწყდებოდნენ, შეილებს შორიდან შესცქეროდნენ და თითო-ორორლა მდულარე სიტყვას ესროდნენ.

აგერ, ერთი თმაგაწეწილი დედაკაცი ჰკივის, ხიშტებს ზედ აწყდება და აპოლონისკენ მიიწევს. ხნიერი მზარეული ცოლს ამშვიდებს და თვითონაც სდუღს. აპოლონი თავის მშობლებისკენ იცქირება და მხრებს იშმუშვნის: „რა ექნა, დაეილუპე და დაგლუპეთო“.

ტუსაღები მიატრიალეს და თითო-თითოდ ვაგონებში შერეკეს.

დარომ ვაგონებს მეორე მხრიდან მოუარა და იქვე ახლოს მიიკუნჭა. ოციოდე წუთის შემდეგ კარებში შველიშვილი გამოჩნდა და დაროს თითი დაუქნია. ვაგონის ტალანში აპოლონი იდგა ტუსაღს დარო სიცილით და ბღავილით ჩაუვარდა მკლავებში.

– შენ გენაცვალე-ე.. შენი ჭირი მე-ე-ე.. სად მიხვალ-ა-ალ..

აფიცერი მიბრუნდა. ერთ თოფიან ჯარისკაცს ხველა აუტყდა. მეორემ მაზარის სახელოთი თვალი მოისრისა.

– მე უკვე განცხადება შევიტანე... – ლუღლუღებდა დარო. – გესმის? განცხადება შევიტანე, რომ მეც მიმიღონ კატორღაში. გაიგე?...

– რას ამბობ, დარო?!

– ჰო, მეთქი, ჰო! შენ გაჩუმდი. შენი საქმე არ არის. – ისროდა სხაპა-სხუპით. – კანონი ესეთია: თუ ტუსაღს ცოლი ან დანიშნული გაჰყვა კატორღაში, მისჯილი ვადა უნდა გაუნახევრდეს. გესმის? გაიგე?

– არა, არ მინდა.

– არა კი არა, ჰო მეთქი,

ლეო ქიაჩელი

ცხოვრება და მოღვაწეობა

მეხუთე გვერდიდან

მასაც ხომ წითელრაზმელთა მეთაურობისათვის უყრია ცხრაკლიტულში თავი. რას წარმოადგენს ეს ხალხი? რა უნდათ, რა სურთ, რისთვის ღვრიან თანამოძმეთა სისხლს. ნუთუ რომელიმე აბაშიძის ან რომელიმე დადიანისა და მათი ცოლ-შვილის სისხლი, რომელთა მკვლელები ამ საკნებში მზედან, როგორც პოლიტპატიმრები, აუცილებლად უნდა დაღვრილიყო? ნუთუ პატარა ბავშვის მკვლელობა, რომელიმე ოჯახის ძარცვა (ანუ ექსპროპრიაცია რევოლუციონერთა ენაზე) უკეთეს დღეს გაუთენებს კაცობრიობას?

ეს ფიქრები აღარ ასვენებენ ჭაბუკს. წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ რაც იგი მოწყვეტილია სამყაროს და საკუთარ თავთან დარჩა. ციხეში ფიქრის დრო თავზესაყრელად აქვთ პატიმრებს. ლეო შენგელაიამ ბევრი რამ გადაიფასა. გადაწყვიტა, აღარ გაკარებოდა პოლიტიკას. ჩამოსცილებოდა რევოლუციურ საქმიანობას და სამშობლოს სამსახურის ასპარეზად მწერლობა აერჩია.

ციხეში ერთდროულად მოხვედრილმა, ერთ საკანში მსხდომმა ორმა მომავალმა მწერალმა – ლეო შენგელაიამ და დავით სულიაშვილმა ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ ამირიდან სამშობლოს უარმყოფელ პოლიტიკურ პარტიას ჩამოსცილებოდნენ და მაუზერის წილ ხელში კალამი აეღოთ. კალამი სწორედ სამშობლოს სამსახურისთვის.

მაგრამ ამისათვის ჯერ ამ ჩაფლტაშებული ციხის კედლებისთვის უნდა დაეღწიათ თავი.

ეს დღე, საბედნიეროდ, მალე გათენდა.

საიდუმლო გვირაბი. ციხიდან გაქცევა

ძნელი მისახვედრი არ არის რა მიზნით, მაგრამ სამწუხარო კია, რომ ხშირად მკვლევარები თავისი სიტყვებით გადმოსცემენ იმ ფაქტს შესახებ, რომელიც თვითმხილველისაგან შეტყვეს, მაშინაც კი, როცა თვითმხილველს ეს ყველაფერი მშვენივრად აქვს დაწერილი. ამაზეა სწორედ თქმული ერთი ირონიული ანდაზა: ომიდან მობრუნებულს შინ დახვედრილი ომის ამბავს უყვებოდაო. მეც რომ ამ დღეში არ ჩავვარდე, კუპიურებით შემოგთავაზებთ დავით სულიაშვილის მოგონებას იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყეს პოლიტპატიმრებმა ქუთაისის ციხეს თავი. ეს ამბავი თვით ლეო ჭიაჩელსაც აქვს მოთხრობილი რომანში „სისხლი“, მაგრამ რაკი რომანში ზმატვრული გამონაგონიც საგულვებელია, ამიტომ აღნიშნული ეპიზოდის გადმოცემა, მეტი სიზუსტისათვის, დასულიაშვილის მოგონებებიდან ჯობს. აი, ეს ეპიზოდიც:

1907 წელს ქუთაისის ციხიდან ტუსაღების გაქცევა გარედან გაფაფილი ხვრელით, ციხის ცხოვრებაში თავისი მოულოდნელი და შესანიშნავი შედეგით ძალიან იშვიათი მოვლენა იყო.

იმ ხანად ციხეში მოიყვანეს ერთი პატიმარი, ზაქარია გურული, რომელიც ჭიათურის მაღაროებში შტრეიგერად მუშობდა. მას მძიმე დანაშაული ედებოდა ბრალად და სასჯელიც მკაცრი მოელოდა.

პოლიტიკურმა ტუსაღებმა მოვილაპარაკეთ და გადაწყვიტეთ, ზაქარია როგორმე გაგვენთავისუფლებინა. ამისთვის მოვისყიდეთ ორი ზედამხედველი, რომლებიც მას გაქცევაში უნდა დახმარებოდნენ.

და, აი, ყველაფერი მოეწყო ისე, როგორც განზრახული გვქონდა...

ზაქარიასგან პირობა გვქონდა, რომ ჩვენს გასანთავისუფლებლად ყველაფერს იღონებდა. იგი მაღაროებში იყო ნამუშევარი და არ გაუჭირდებოდა ციხეში გარედან ხვრელი შემოეფანა...

ციხიდან პირდაპირ, ქუჩის მეორე მხარეს ამხანაგებმა დაიჭირავეს ვინმე ფანცხავას სახლი, სადაც გახსნეს ქალის წინდების საქმოვი საამქრო... ეზოში გაბეს თოკები და მასზე სხვადასხვა ფერის ქალის წინდები ჩამოჰკიდეს. სახლის სარდაფიდან კი ქუჩის ქვეშ ხვრელის გაფანას შეუდგნენ.

ხვრელის გასაფანად ზაქარია გურულმა ჭიათურიდან ჩამოიყვანა დახელოვნებული შტრეიგერი, ბელიაშვილი (ცნობილი მწერლის, აკაკი ბელიაშვილის მამა)...

ხვრელი იწყებოდა სარდაფიდან, გაივლიდა ქუჩას, შემოვიდოდა ციხის ვიწრო ეზოში და საძირკველის ქვეშიდან ქვედა სართულის პირველ „სეკრეტში“ ამოვიდოდა...

როგორი შიშზიდველი, საფარელი და იმედების აღმძვრელი გახდა ჩვენთვის ის სახლი, წინათ რომ ისე ცივად, ულაზათოდ გამოიცქირებოდა...

ჯერ კიდევ საქმე შუაზე არ იყო მიყვანილი, რომ სახლის პატრონმა, ფანცხავამ, გაიგო მისი სახლიდან ციხეში ხვრელის გაფანის ამბავი...

საოცარია, ეს მაშინ ბევრმა იცოდა ქუთაისში, ხოლო არავის აზრად არ მოსვლია ეცნობებინა მთავრობისათვის.

– რას მიშვრებით, რატომ მლუპავთ. მე თუ არ გეცოდებით, ჩემი ცოლ-შვილი მაინც შეიბრალეთ! – შეშინდა სახლის პატრონი.

ამხანაგები გავითირებულნი შესქეროდნენ მას, ეპუღებოდათ ამდენი ხნის ნამოღვაწარი...

ბოლოს შეთანხმდნენ, გიორგი ზდანევიჩს (მაიაშვილს) მოერიგებინა „მდგმურები“ და სახლის პატრონი (გვირაბის გაფანის საქმეს ზდანევიჩი ხელმძღვანელობდა). მართლაც, ასე მოხდა. შავი ქის მრეწველთა სამეჯლისოს თავმჯდომარემ გიორგი ზდანევიჩმა ფანცხავას დიდი თანხა მისცა „ბეს“ სახით, საზღაურად იმ შემთხვევისათვის, თუ პოლიცია მას სახლს გადაუწვავდა და დაარბევდა.

დამთავრდა ხვრელის გაფანა...

შეიცვალა გუნება, ფიქრიც... იმ დღეს დილიდანვე აღგზნებულები დავიარებოდით... დადიოდით მთავარეულებივით, თითქო მოვცილდით ციხის ცხოვრებას. სხვა ქვეყანაში გადავედით. როგორ დამთავრდება დღევანდელი დღე? სად ვიყნებით ხვალ?

ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. 1907 წლის 26 სექტემბერს ქუთაისის ციხიდან გაიქცა 38 პოლიტიკური პატიმარი. მათ შორის ლეო ჭიაჩელი და დავით სულიაშვილი. ისინი, ფანცხავას სახლიდან გასულნი, ქუჩაში დასცილდნენ ერთმანეთს და სხვადასხვა მიმართულებით გასწიეს... სხვათა შორის, ხუთი წლის შემდეგ, ციხის საკანში დამეგობრებული მწერლები, საზღვარგარეთ კვლავ შეხვდებიან ერთურთს და კვლავ ერთად მოუწევთ ემიგრანტის მძიმე ხვედრით ცხოვრება.

გაგრძელება იქნება

მიხეილ ჯავახიშვილი

დამდნარი ჯაჭვი

ჰო!

– არასოდეს! შენს თავს უშველე, დარო!

– აპოლონ! ყური მიგდე...

– არა, არა და არა მეთქი! მე დავიღუპე. ჩემი საქმე გათავებულია... მე განწირული ვარ... მე შენი მსხვერპლი არ მინდა... ვერ მიშველი.

– გიშველი. ნახეარს მოგხსნი.

– არ მინდა, მეთქი, არა!

– აპოლონ! ან უნდა წამოგყვე, ან თავი უნდა მოვიკლა. ამის იქით მე გზა არა მაქვს.

– დარო, მოისმინე ჩემი უკანასკნელი თხოვნა და ანდერძი: მალე დამივიწყე და გათხოვდი.

ეს სამი სიტყვა ისე მოხვდა დაროს, როგორც ღვთის გმობა მორწმუნეს. დავიიწყოს აპოლონი?! მათი სიყვარული?! ის ღამეც?! აპოლონ, გესმის რას ამბობ? რამ გათქმევინა, ან რამ მოგაფიქრებინა ესეთი უმსგავსი რამე?! ეი, დაროს ბრალი! როგორ გცნობია შენი დანიშნული. შენ დაგივიწყოს და სხვას მისთხოვდეს! შენ უბედურო, შენა, როგორ ამოიღე პირიდან ეს სიტყვები?!

– შენი გათხოვება სამუდამოდ დამამშვიდებს. შემატყობინე შენი ქორწილი.

ეს იყო ტუსაღის უკანასკნელი სიტყვები.

– ქალბატონო, გთხოვთ... გაათავეთ. –ჩაუდგა ორივეს შუაში შალვა შველიშვილი.

დაროს მუდარა კივილით და ფართხალით დასრულდა. დარაჯებმა ძლივს ჩაათრიეს გააფთრებული ქალი, რომელიც კარებს და სახელურებს ეჭიდებოდა.

აპოლონი გაჰქრა.

ეაგონები მატარებელს მიაბეს.

შველიშვილმა ტუსაღები მეორე რაზმს ჩააბარა, თავისი გაისტუმრა და დაროს თვალი გააყოლა.

და როცა მატარებელი დაიძრა, წინმდგომი დაროც მიმავალ ორთქლმავლისკენ გაიქცა. მაგრამ იმავე წუთს მხრებში შველიშვილი დასწვდა.

ერთი საათის შემდეგ ახლად გაცნობილმა „პოროუჩიკ“-მა თითქმის უგონო ქალი ეაუას ქუჩაზე გაიყვანა და დედას ჩააბარა.

* * *

დარომ თავი მოაბეზრა მახელებს: დღე არ გაეიდოდა, რომ თავთ არ დასდგომოდა და კატორღაში წასვლის ნებართვა არ მოეთხოვა. მაგრამ, რადგან ჯერისწერის მოწმობა ვერ წარადგინა, ამიტომ ვერც ნებართვა მიიღო.

სანამ წასვლის იმედი ჰქონდა, დარო აშლილი და აფორიაქებული იყო. ხოლო როდესაც მტიცე უარი მიიღო, პირმოხსნილ ტიკიეით მოეშვა და ისე ჩაიჭედა თავის ოთახში, როგორც კუბოში. სინათლეს, ჭამა-სმას და ნაცნობ ნათესაეებს ისე გაურბოდა, თითქო ცოცხლად აპირებდა სამარეში ჩასვლასო.

აპოლონის გასტუმრების დღიდან მხოლოდ შალვა შველიშვილს მიენდო და მისი მადლი დააფასა. ახალი ნაცნობი ყოველდღე მიდიოდა დაროს მოსაკითხად და პროკურორ-გუბერნატორთან მისაყოლად და დასახმარებლად.

– ღმერთმანი, არ ვიცი: როდის ან როგორ უნდა გადაგიხადოთ მადლობა. – ხშირ-ხშირად ეუბნებოდა დარო.

– რისთვის, ქალბატონო დარო?

– ჯერ ერთი, იმისათვის, რომ აპოლონი მაჩვენეთ. მეორე – სიკვდილისაგან გადარჩენისათვის. მესამე – ხელისუფლებთან დახმარებისათვის, და მეოთხე – მოკითხვისთვის, ნუგეშისთვის და გამხნევებისთვის.

ხოლო როდესაც სამუდამოდ დაჰკარგა ციმბირში წასვლის იმედი, შველიშვილს საყვედურებით ავსებდა:

– ნეტა თქვენი თავი არ მენახა.

– აპოლონსაც ვერ ნახავდით.

– მართალია, მაგრამ იქვე ერთ წუთში გავათავებდი ყოველივეს. ეხლა კი...

მაინც მხოლოდ შალვას და დედას იკარებდა. არც ოთახიდან გამოდიოდა, არც ლოგინს შორდებოდა. მუდმივი შიში, სევდა და დუმილი დასჩემდა. ექიმები მოდიოდნენ, მოდიოდნენ და იმეორებდნენ:

– მელანქოლია სჭირს... გაიყვანეთ... გაართეთ... გაათხოვეთ.

მაგრამ გათხოვებაზე დაროსთან ახლოს ვერავინ ამოიღებდა, ხოლო ყოველგვარი გართობა – გაელა, ხმაურობა, სიცილი, ხუმრობა და ღიმილიც კი ავადმყოფს უარესად სტანჯავდა და აკაპასებდა. მხოლოდ შალვა შველიშვილი ახერხებდა დაროსთან შესვლას, ბაასსა და ათასში ერთხელ ქალის გაღიმებასაც ულამაზო, უშნო და მოუხეშაი ადამიანი იყო. სამაგიეროდ ბავშვის გული ჰქონდა, ყოველი ცხოველის ხმას ზედმიწევნით ავჯავრებდა და ათასი მასხრობა, მხიარული ამბავი და ანეკდოტი იცოდა. მეზობლებიც კი შემოვიდოდნენ ხოლმე მეორე ოთახში და ტალანში, როდესაც შალვა თავის ოინებს და ამბებს მოჰყვებოდა. ხან კუნტრუშით მოსხლტებოდა და კეიციეით ჭიხვინებდა. ხან ჯაგჯაგით დარბოდა და კამეჩიეით ყროყინებდა, ხან ისე აყეფდებოდა, რომ ქუჩის ყველა ძაღლებიც იმ სახლისკენ გარბოდნენ ყეფით და წკმუტუნით. ზოგჯერ ძროხასაეით ბღაოდა. ზოგჯერ ოთხით აჩოჩდებოდა და ბავშვიეით აღრიალდებოდა. ხან დათვიეით ძუნძულს მოჰყვებოდა და აბუტბუტდებოდა. ხან კიდევ იმ ოთახში ერთმანეთში აირეოდენ ღორების ჭყიეილი, გოჭების ჭყეიტინი, ბატების ყეყინი და ფრინველთა ულურტული, ჭიკჭიკი და ხვიელი. და როდესაც თვითონაც დაიღლებოდა და დაროსაც ნერვიულ სიცილ-ტირილამდე მიიყვანდა, ავადმყოფს მეგობრულად დაუკოცნიდა ხელებს და ბავშვიეით დაარიგებდა:

– აბა, არ მიიწყინოთ. საღამოზე მოვალ და გაგატარებთ.

და საღამოზე ისე დაჰყვედა ახლო-მახლო, როგორც ძიძას ახლად ფეხამდგარი ბალღი.

შალვა მალე გადაიქცა დაროს ძმად, მამად, მეგობრად და მზრუნველად.

დაროს ერთმა ნათესავმა ერთხელ სიტყვა „დანიშნული“ იხმარა. და ამ სიტყვამ ისე აადუღა და გაამწარა აპოლონის დანიშნული, რომ შალვამ თავი ძლივს გაიმართლა. მაგრამ ერთხელ ნასროლმა სიტყვამ იმ სახლში თანდათან ფეხი მოიკიდა და ფეხი გაიმაგრა. მერმე ამ სიტყვამ უნებურად დაროს

თავშიც დაიბუდა. როდის შეჭერა ის უხამსი აპოლონის დანიშნულის თავში, ან როგორ მოიკალათა დაკარგული ტუსაღის სამფლობელოში, დარომაც ვერ გაიგო. დაქრილებულმა ქალმა ახალი ბინადარი ნელა შეიჩვია და მოინელა. სამაგიეროდ შალვა შველიშვილმა ბეწვიც ვერ გაჰკრა დაროს გულს, რომელიც პირსაესე დოქივით მუდამ გატენილი იყო შებორკილი კატორღელის ხსოვნით, ცვცხლითა და სახელით.

„მალე დამივიწყე და გათხოვდი... შენს თავს უშველე, დარო“. – ხშირად აგონდებოდა ქერივს აპოლონის ანდერძი, მაგრამ მისი აზრი მაინც ვერ გაიგო. რისთვის? ვისთვის: იმისთვის, რომ აპოლონი დაამშვიდოს? ვითომ დამშვიდდება სადღაც აკატუაში ჯვარცმული ქვეყნის ნაპირზე გადაკარგული აპოლონი? არა, არა! სტყუის აპოლონი, სტყუის! დამშვიდდება კი არა, მეორე და მესამე ჯვარზედ გაეკერება, თუ... თუ დარო არ დაივიწყა და უკვე არ დამშვიდდა. დაივიწყა?! ღმერთო დიდებულო! ნუთუ შეიძლება, რომ კუბოში ჩაჭედილმა ცოცხალმა ადამიანმა დაივიწყოს ერთად ერთი სიყვარული, ისიც ჭაბუკური, პირველი და უკანასკნელი?! დაივიწყოს ის ერთი კვირა... ის ერთი ღამე... იქ მტკვრის ნაპირზე... ან ის წუთი, ვერის ხევში, როდესაც უუზენაესი ბედნიერებით გულსავსე ჭაბუკი დამბაჩასაეით ისროდა:

შაღლა დარი შენებრ
დარობს,
დაბლა დაროს სჭირს
დარება.
დარდმა დარი მოიდარა.
დაროს ახჩობს ნეტარება.

და დროს მართლა ახრჩობს წარსულის მოგონება: ის კვირა და ის ღამე, მერმე დარდი და ურვა. მერმე სადგური, შებორკილი ტუსაღი, უკანასკნელი კოცნა და... საზარელი ანდერძი: მე დაკარგული ვარ. მე გათაეებული ვარ. ცოცხლების სიიდან ამომშალეს... შენ შენს თავს მოუარე... თავს უშველე... გათხოვდი და დამამშვიდეო. მაშ თვითონ კი ყოველივე დაივიწყა და დამშვიდდა? არა, არა და ათასჯერ არა! ამას დარო არასოდეს არ დაიჯერებს.

შალვა შველიშვილო! შენ კეთილი, გულწმინდა და მართალი კაცი ხარ. შენ ერთადერთი მეგობარი ხარ დაროსი. შენი სიკეთე ქერივს არასოდეს არ დაავიწყდება. ადრე იქნება თუ გვიან, ასჯერ გადაგიხდის მადლობას. მაგრამ აპოლონის მაგივრობას შენ ვერ გასწევ. ვერც სხვა ვინმე გასწევს. ის ტუსაღი დაროს გულში ერთადერთი მდგმურია და მუდამ ერთიეე დარჩება.

შენ, შალვა შველიშვილო! გულში დაროს ცოლობა გიდევს. ამოიღე, გადააგდე და დაივიწყე. მაგრამ ვთქვათ, მოგთხოვდა კიდეეაც. მერმე? რად გინდა უსულო ხორცი? რისი მაქნისი ცოლი, თუ იმის გულში სხვა ვინმე ცხოვრობს? რისთვის გინდა ქალი, თუ შენ არ მოგეხვევა, და თუ მოგეხვევა, იმავე წუთს შენს მაგივრად აპოლონი ეყოლება ჩახვეული მკლავებში?

მაგრამ შალვა შველიშვილი უჯიათი, კერპი და შეუპოვარი ადამიანი. ჯერჯერობით ხმას არ იღებს. მხოლოდ გულში იტრიალებს დაროს ცოლობას. დარო კი იმის გულს წიგნიეით კითხულობს და გუნებაში პასუხსაც აძლევს. შალვას ეს პასუხი ან არ ესმის, ან თავს იკატუნებს. და ისე თავისი გზით მიდის: ყოველ დღე ჭიხვინებს, დარბის, ჰყეფს, ჭყიეის და ყიყინებს, პატარა ოთახში დათვიეით დაბორიალებს, თვითონაც ხარხარებს და დაროსაც ტირილნარევი სიცილით აცინებს.

აპოლონის დაკარგვის დღიდან დარო აღარ კოხტაობს. დაუდევრობა და სულიერი მოღლა დაეტყო. ვისთვის ჩაიცვას? ვისთვისღა მოიკაზმოს? შალვა მოშინაურდა. დარო შეეჩვია. აღარ ერიდება. ერთხელ პირდაუბანელი დაუხვდა, მეორედ – ჩაუცმელი და გაწეწილი. მერმე მეგობარს ველარც კი ამჩნევდა: იმის თვალწინ ივარცხნიდა, იცვამდა და შიშველსაც აჩვენებდა.

დედამ და ნათესაეებმა ჯერ გადაკერით და მერმე პირდაპირაც მოუხშირეს გათხოვებაზე და დაბინავებაზე ლაპარაკს. დარო პასუხსაც აღარ აძლევდა და შალვაზე ფიქრობდა:

„ვერ გაჰბედავს“.

მაგრამ შალვამ ნელ-ნელა გაბედა. მერმე დრო მოიხელთა და პირდაპირ უთხრა:

– დარო. ჩვენ კარგი მეგობრები ვართ. მოდი უფრო დავმეგობრდეთ.

დარო მიუხვდა. გაფითრდა და დაიბნა:

– როგორ?... რით?

შალვამ ეხლა კი გაიხსნა გული. თავისი განზრახვა ჭკვიანურად დაასაბუთა და მომავალი მყუდრო ცხოვრება და ნელი ოჯახური ბედნიერება დაროს ცხადლივ გადაუშალა. ბოლოს შეეხვეწა:

– ეხლავე ნუ მომცემ პასუხს, მეგობარო. მოიფიქრე და გაზომე „არას“ თუმას ყოველთვის მოასწრებ.

ორი კვირა გავიდა. შალვას ხმა აღარ ამოუღია. იმის მაგიერ ნათესაეებმა უფრო მოუხშირეს კირკიტი, შთაგონება და ფუსფუსი. და როდესაც სულერთიანობით მობეზეილი ქალი მოსტეხეს, როცა ურჩი კედელი რვა თვის კაკუნით მოალბეს და მოარღვიეს, მხოლოდ მაშინ ჰკითხა შველიშვილმა:

– ჩემო კარგო, ჩვენი ბაასი ხომ არ დაგავიწყდა?

– არა... მახსოვს.

– მაშ, თუ შენც თანახმა იქნები, ენკენისთვეში დავიწეროთ ჯვარი.

– სულ ერთია. – თავისთავად გადმოვარდა დაროს პირიდან.

და როდესაც ენკენისთვე მოვიდა, როცა შალვამ თეთრი დედოფალი გვერდით მიიწვინა, უზინარი ხუნდებიანი ტუსაღიც ისე ჩაწვა ცოლ-ქმარს შორის, როგორც საკუთარ ლოგინში: სამუდამოდ, მჭიდროდ და მოურიდებლად.

მეშვიდე გვერდიდან

ერთ დროს დატყვევებული ნაწარმოებები

მიხეილ ჯავახიშვილი

დამენატი ჯაჭვი

და ის ცოცხალი გვამი აქაც ისე იყო ჩაჭედილი, როგორც იქ თავის კუბოში, ამ ქვეყნისა და საიქიოს საზღვარზე მდებარე აკატუის კატორღაში.

ერთი წლის შემდეგ მარინე დაიბადა. დარომ აპოლონს ანდერძი შეუსრულა და ეს ამბავი წერილით შეატყობინა. სწერდა: „რა თქმა უნდა, ჩვენი უკანასკნელი წუთი გეხსომება. ალბათ ის აფიცერიც გახსოვს, რომელმაც შეგებრალა და ერთმანეთი გვაჩვენა. სწორედ იმ კაცს, – შალვა შველიშვილს მიეთხოვდი. „მერმე ერთი წმინდანური ტყუილიც დაუმატა: „შენგან ქალი მეყოლა, მარინე დავარქი. ის ქალიც ისე შეიყვარე, როგორც მე გიყვარდი“.

ამას რომ სწერდა, ფიქრობდა: ჩემს სხოვნას უფრო ღრმად ჩავუჭედავ თავში და გულში მამობრივ სიყვარულსაც გაეუჩენო. და იმ წერილს თავისი და პაწაწა მარინეს სურათებიც მიაყოლა.

პასუხს დიდ ხანს ელოდებოდა.

„ალბათ კატორღელებს მიწერ-მოწერის უფლებას არ აძლევენ“. – ფიქრობდა დარო და მეათე წერილს სწერდა.

მაგრამ აკატუიდან გამოძახილი მაინც არ მოისმოდა.

„რა თქმა უნდა, ჩემი წერილები აპოლონს არ მისდის“. – გადასწყვიტა ბოლოს და იმ დღეს დაწერილი წერილიც დაჭხია.

* * *

აკატუის კატორღაში დრო ჭიაყელასავით მიცოცავდა, ხოლო ამ ქვეყნად გრიგალივით მიჰქროდა.

შალვა შველიშვილს ჯერ ბურთივით ისროდნენ აქეთ-იქით, მერმე სტაროპოლს მოკიდა და იქ გაიდგა ფესვები.

ცხოვრება დუნედ და ზლაზვნით წავიდა. შალვა სამსახურის კიბეზე ფეხაუდგმელ ბავშვივით მიჩოჩავდა. დარო დამშვიდდა და დასრულდა. მარინე ცამეტი წლისა შესრულდა და ისე დაემსგავსა ადრინდელ დაროს, როგორც საკუთარ თავს.

ჩრდილოეთიდან წითელი ნიავი მოდიოდა. მერმე ის ნიავი ქარად გადაიქცა, ხოლო ქარი – მჭექარე ქარიშხლად და გრიგალად. და იმ გრიგალმა და კორიანტელმა ბუმბულივით აჰშალეს, მოიტაცეს და დააბორიალეს ის მყუდრო ქალაქიც და შალვა შველიშვილიც.

ერთხელ ქალაქსაც მისწვდა თოფის გრიალი და ზარბაზნის ქუხილი. შველიშვილს სასულიერო სემინარიასთან ჰქონდა ბინაც და სამსახურიც.

დროც და მარინეც ხედავდნენ ყაზარმებიდან გამოსულ შალვას და იმის პოლკს. მუსიკით და სიმღერით ჩაიარეს. შალვამ ორივენი გულში ჩაიკრა.

– ნუ სტირით... ასჯერ გადაერჩი, ეხლაც გადაერჩები. მშვიდობით... მშვიდობით!

და ორივე ძლივს მოიგლიჯა კისრიდან. მერმე ცხენზე შეჯდა და მიმავალ პოლკს დაეწია.

ბრძოლის ჭექა-ქუხილი თანდათან ახლოვდებოდა. სალდათები ჯგუფ-ჯგუფად მოიპარებოდნენ. მერმე დანარჩენებმაც იხუელეს და გამოიქცნენ. ბრძოლა ქუჩებში შემოიჭრა. ორი საათის შემდეგ მაღლობზე ასეტილ თეთრი სამრეკლოს თავზე წითელი ბაირაღი ფრიალებდა და წითელ ჯარს ცნობებს აწვდიდა. სროლა შენელდა.

თეთრმა ჯარმა ქვეით, სადგურისკენ დაიწია. შალვა არსად მოსჩანდა.

შეშინებული დარო და მარინე სარდაფიდან ამოვიდნენ. დარომ შიში დასძლია. შალი მოიხვია და ქუჩაში გავიდა. იარაღაყრილი თეთრი სალდათები უკვე წითლებს უმეგობრდებოდნენ. დარომ რამოდენიმეს გამოჰკითხა. ბოლოს, ერთმა უთხრა:

– დაიჭირეს. ეს არის ეხლა გაატარეს.

– საით? საით გაატარეს?

– აგერ, იქით. К стенке приставлют.

დარო გაიქცა. თვითონაც არ იცოდა, საით მირბოდა, ან ვის ეძებდა: შალვას თუ წითლების შტაბს. ბოლოს ვიღაცამ „ცენტრალური სასტუმროზე“ მიუთითა:

– იქ არიან.

დარაჯებმა არ შეუშვეს. დიდი ბაღის მხრიდან მოუარა სასტუმროს, ეზოში შევიდა. აქ აღარავის ჰკითხა ვინაობა. ისეთი ფაცა-ფუცი და სირბილი იყო, რომ ერთმანეთსაც ძლივსღა სცნობდნენ. ვიღაცამ მიასწაველა:

– Там.

დარომ გრძელი ტალანი გაირბინა და ერთი ოთახის კარები გამოაღო. გამოაღო და კარებშივე ისე გაქვავდა, თითქო შიგ ველარ გაეტიაო. იმის წინ აპოლონ რაპოლიძე იდგა: თხემითფერხამდე შავსა და მბზინავ ტყავში ჩამჯდარი. თავთ ეხურა მუზარადის მსგავსი ტყავისავე ჩაბალახი, რომელსაც წინ მიკრული ჰქონდა ხუთსხივიანი წითელი ვარსკვლავი. ხშირი და ტყავზე უფრო შავი წვერი განიერ მკერდზე ეყარა.

აპოლონ რაპოლიძე, ოდესღაც სხარტი სტუდენტი, ეხლა ლაკირონის ჯაჭვში და ჩაფხუტში ჩამჯდარი რაინდს ჰგავდა, რომელსაც მხოლოდ ფარი და მახვილი აკლდა.

რაპოლიძე ორს ამხანაგს რაღაც ფიცხელ დარიგებას აძლევდა. კარებში შემდგარ დედაკაცს რომ თვალი მოჰკრა, გაშვერილი ხელი ჰაერშივე გაუშეშდა.

– აპოლონ... ღმერთო ჩემო. – წაილუღლუღა დარომ და ძლივს დაიხარა.

მათ შორის დიდი მაგიდა იდგა. და ის მაგიდა დაროს სანგარივით გადაელობა, რომელსაც აქეთ-იქიდან ორი უცხო დარაჯი აესვეტა. და იმ საფარიდგან აპოლონ რაპოლიძე უდრეკ ციხისთავივით გამოიყურებოდა: მტკიცედ, პირქუშად, თითქმის მრისხანედ. ხელი ძლივს გაუწოდა და ორი გაყინული სიტყვით დაროც გაჰყინა:

– რა გნებავთ?

– მე?... მე თქვენთან საქმე მაქვს...

და ორ უცხოს გადახედა. ორივენი წასასვლელად შეტოკდნენ, მაგრამ რაპოლიძემ ორივეს ხელით ანიშნა: დარჩითო, და ისევ დაროს მიუგდო:

– სთქვით, ნუ ერიდებით. მე ამათთან დასამალავი არაფერი მაქვს.

დარო შეყოყმანდა, აილეწა და აირია. მერმე გამშრალ პირიდან ძლივს ამოიღო:

– ჩემი ქმარი... დააპატიმრეს.

– ვიცი, მერმე?

იცის? მაშ ცამეტი წლის წინათ კატორღაში გაგზავნილი დაროს წერილი მიღია. თორემ როდის, ან როგორ გაიგებდა, რომ დარო ვიღაც შველიშვილის ცოლია? უცებ რაღაც იმედი მიეცა, მაგრამ აპოლონს რომ შეხედა, ისევ სისხლი გაეყინა.

– მერმე მეთქი? რა გნებავთ?

– სათხოვნელად მოვედი... არაფერი დაუშავოთ.

აპოლონმა ლიითონის ღიმილით გაიღიმა, ადრე, თოთხმეტი წლის წინათ დარო აპოლონის პირზედ ასეთ ღიმილს ვერც კი წარმოიდგენდა.

– არაფერი დაუშავოთო?! ჰმ... კეთილი, მაგრამ, მგონი, თქვენი ქმარი პოლკის უმფროსი იყო, არა?

– დიაღ, მაგრამ...

– რამდენიმე საათის წინათ ჩვენს სისხლს ჰღვრიდა. ხომ?

– არ ვიცი... მაინც გთხოვთ, გეხვეწებით.

აპოლონმა სიტყვა გააწყვეტინა:

– თხოვნას და ხვეწნას ჩვენში არავითარი ფასი არა აქვს. ყოველივე ცხადია. არ მესმის, ან თქვენ რად შეიწუხეთ თავი, ან სხვას რად აწუხებთ.

ჰოო? მაშ ეგრეა საქმე?! მაშ ეგრე გამოცვლილხარ, აპოლონ?! მაშ ეგრე ადვილად მიაფუჩეჩე ყოველივე?! ეგრე ოლად დაივიწყე წარსული?! დარო წელში გაიმართა. თვალებში ცეცხლი გაუჩნდა და ხმაში რვალი ჩაესხა.

– ბატონო აპოლონ!

– აპოლონ იორამის ძე. – გაუსწორა აპოლონმა.

– ბატონო აპოლონ იორამის ძე!

– ბატონო კი არა, ამხანაგო თქო. – კვლავ გაუსწორა რაპოლიძემ.

– არასოდეს! – მიახალა ქალმა – არასოდეს! პირადად თქვენ ჩემი ამხანაგი არა ხართ... აღარა ხართ. – და ორს უცხოს მიუბრუნდა. – ამ ადამიანისგან შვილი მყავს. როცა კატორღაში ჰგზავნიდნენ, მეც თან მივყვებოდი, მაგრამ თვითონ არ მოინდომა. ანდერძად დამიტოვა: გათხოვდი და დამივიწყე. მე მაინც არ დავუჯერე. რამდენიმე თვე დავეხეტებოდი და კატორღაში წასვლის ნებართვას ვთხოულობდი. მინდოდა ამისთვის ვადა გამენახვევრებინა. მაგრამ კანონმა ნება არ მომცა, რადგან დაქორწინებულები არ ვიყავით. ბოლოს, იმედი რომ გადამიწყდა, გავთხოვდი და ამის ქალიშვილს მამა ვუშოვნე. იმ კაცმა ამ კაცს შვილი გაუზარდა. ხოლო ეს კაცი მაღლობის მაგივრ თავის შვილის ნამდვილ მამას უპირებს...

და იმ ერთ სიტყვას ველარ მოერია.

„ღმერთო დიდებულო! გააჭრეთინე ჩემს სიყალბეს. შენ იცი, თუ რისთვის და ვისთვის ვიცრუე“. – გულში მოინატრა თითქმის დაქვრივებულმა დედაკაცმა.

– გაჩუმდით! ხმა გაკმინდეთ! – დაიგრიალა აპოლონმა და დიდი მუშტით კინაღამ მაგიდა ჩაამტვრია. რაც ამ დედაკაცმა სთქვა, ყოველივე მართალია.

„უუჰ!“ – გულს მოეშვა დაროს.

– მაგრამ – მიუბრუნდა დაროს გამკაცრებული ნაქმრევი და „შენ“-ზე გადავიდა: – მაგრამ შენ დედაკაცი ხარ და რევოლუციონერის მოვალეობა არ გესმის. მე შენ გეუბნები, არ გესმის მეთქი!

დარო კვლავ დაიბნა და გაშეშდა. თვალებანთებული აპოლონი კი მაგიდას უბრახუნებდა და რკინის ნაჭრებივით ისროდა:

– გაიგე, რა გითხარით? არ გესმის მეთქი! არ გესმის მეთქი!

დაროს მართლა არ ესმოდა. ხან ერთ უცნობს შესცქეროდა, ხან მეორეს და, გაოცებული, ხელების გაშლით, ბრალდებულივით ბუტბუტებდა:

– მართლა არაფერი არ მესმის... სრულებით არაფერი არ მესმის...

– ვერც გაიგებ! – გააწყვეტინა აპოლონმა. – ვერც გაიგებ მეთქი! ჩემი ღვიძლი ძმა რომ ჩამვარდნოდა, იმასაც საკუთარი ხელით მივხვრიტავდი.

დაროს ტყვიასავით მოხვდა ეს ერთი სიტყვა, რომელსაც აქამდე გაურბოდა.

– გაიგე, რა გითხარი? – ცეცხლივით აყრიდა პირში დედაკაცს ის ადამიანი, რომელსაც დარო ველარ სცნობდა. – ვერც ეხლა გაიგე? რომ დააშავო რამე, არც შენ დაგინდობ! დიაღ, არ, დაგინდობ მეთქი!

და აპოლონ რაპოლიძე გაცხარდა. მედგრად, მტკიცედ და ფიცხად იცავდა მოვალეობის სანგარს მომხდურ დედაკაცისგან, რომელიც მშობლიური და პირადი მოვალეობით აპირებდა წითელი ციხისთავის დატყვევებას. მაგრამ რაპოლიძე ფხიზლობდა და მტკიცედ იდგა თავის სადარაჯოზე:

– იმ დიდი მოვალეობის წინაშე, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, სხვა მოვალეობა აღარ არსებობს. ეს არის ჩემი უკანასკნელი სიტყვა.

და იმ წუთს აპოლონ რაპოლიძე ჰგავდა მოვალეობის ჯაჭვში ჩამჯდარ ადამიანს, რომელსაც ის ფოლადისა-ნაჭხლარია. და ჩაქსოვია სულსა და სისხლში, რომ ამ ჯაჭვის გახდა და მძიმე ზუჩის მოხდა არც თვითონ შეეძლო, არც სხვა ვინმე სულიერს.

დარომ რაპოლიძის უუზენაესი მოვალეობისა მაინც ვერაფერი გაიგო. მაგრამ უცებ მიხვდა, რომ დამარცხდა. აპოლონმა მარინეს შვილობა დაიჯერა, მაგრამ თავისი მოვალეობა მამის გრძნობას არ შესწირა. იგრძნო დარომ, რომ არც შესწირავდა. იმის წინ ყინულის ზღუდე იდგა, – ურღვევი და ცივი. და იმ ზღუდეს ყინულისა და რვალის კაცი სდარაჯობდა, – ისიც მტკიცე და უძლეველი. და თავისი თავი იმედდაკარგულმა დედაკაცმა უცებ ქვრივად იგრძნო. მეტი არაფერი დარჩა: თუ მოვალეობის ზღუდე მოვალეობისავე წერაქვმაც ვერ გაარღვია, იქნება ის ყინული ქვრივისა და ობლის ცხელმა ცრემლმა გაალხოს.

– აპოლონ! შენ შვილი გყავს.

– ჩემს შვილს მე თვითონ მოვუელი.

დარომ უცხო კაცს მოუარა და აპოლონს პირის-პირ დაუდგა. უცებ ორივე ხელით ხელზე დასწვდა, იმ ხელზე აკოცა და მუხლებში ჩაუვარდა:

– აპოლონ! აპოლონ! რას მიშვრები, აპოლონ!

რაპოლიძემ ხელი გამოსტაცა და გაიწია. დარო ჩოქით მისწვდა და მუხლზე მოეხვია, თან ბუტბუტებდა:

– ეგრე ადვილად დამივიწყე?.. ყოველივე დაივიწყე?

– დავივიწყე, დავივიწყე! – წვრილი ხმით შეჰყვირა აპოლონმა, ფეხი გამოჰგლიჯა და კარებისკენ გაიქცა, თან იმეორებდა: – ჰო, ჰოო! დავივიწყე!

გავარდა და კარები გაიჯახუნა. თან მოვალეობის ჯაჭვიც ძლივს გაათრია.

უცნობნი დაროს დასწვდნენ და წამოაყენეს. ამშვიდებდნენ და კარებისკენ მიჰყავდათ. ტალანი გაატარეს, ქუჩაში გაიყვანეს და დაბრუნდნენ. იმავ ოთახში შეიხედეს, დაინახეს: აპოლონ რაპოლიძე თავის სკამზე ივჯდა. იდაყვები მაგიდაზე დაეყრდნო და პირისახე განიერ ხელებში ჩაემალნა. ოჯდა. ვერხვივით თრთოდა.

კარები ჩუმად გაიხურეს და უკანვე გავიდნენ.

დარო ვიღაცამ მიიყვანა და მარინეს გადასცა. დაწვა და ბოდდა.

იმავე საღამოს აპოლონი თეთრებს მდევრად გაჰყვა.

მეორე დღეს მარინემ მამას საპატიმროში სადილი წაუღო და სამი საათის შემდეგ უკანვე მოიტანა. ცამეტი წლის ქალმა ჯერ არ იცოდა, რად დაუბრუნეს სადილი. დაბრუნდა და სევდით სთქვა:

– არ მიიღეს.

– დარომ ლოგინში წამოიწია:

– სხვებისა, შვილო, სხვებისა მიიღეს?

– მიიღეს.

ავადმყოფი უკანვე გადავარდა.

დარო უკვე დაქვრივდა.

მარინეც დაობლდა.

(გაგრძელება იქნება)

ნუგზარ ფოფხაძე: შევარდნაძის უნებართვოდ ერთი „საიდუმლოც“ უნდა გავთქვა...

მეორე გვერდიდან

...ედ მისული კაცის გასამხნევებლად, ყველაზე ძვირფასი და ახლობელი არსების მასთან გამოჩენის ჩემეული იდეა, ასევ გონივრულად განახორციელა მისმა მეულლემ და შოკიდან გამოვიყვანეთ ჯუმბერი.

ვიმეორებ, შორს ვარ „დამალულების“ სურვილიდან, მაგრამ პატიაშვილმა, თავისი ამბიციების დაკმაყოფილების პარალელურად, ცოტა მაინც იფიქროს სხვის შვილებზეც – მათაც არანაკლებ უყვართ მამები, ისინიც განიცდიან მშობლების სულიერ მდგომარეობას, მათაც უნდათ ცხოვრება „უიარლიყოდ“, მით უმეტეს მაშინ, როცა სწორედ მათ მშობლებს ეს არ დაუმსახურებიათ...

გარდა ამისა, უმადურობასაც ხომ უნდა ჰქონდეს საზღვარი.

იმ უმძიმეს დროს ზოგიერთები პატიაშვილის სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე ფიქრისთვის ვიცლიდით. ეს ბოლო შვიდი წელიწადი კი მან და მისმა ამქარმა ჩვენი სიცოცხლის შესამოკლებლად ისე აქტიურად მოიცალეს, თითქოს სხვა საქმე არც ჰქონდეთ. ალბათ აქვს მნიშვნელობა იმას, ამ ბოლოდროინდელ პუბლიკაციებში ტექსტიკური მოსაზრებებით გვარით რომ არ მიხსენიებენ და ლაფს იმ განყოფილებას ასხამენ, რომლის კურატორიც ვიყავი. კიდევაც გავაფრთხილე იგი, რომ ჩემს თავსაც დავიცავ და იმ პატიოსან ბიჭებსაც, რომლებსაც არც საქმით, არც მოქალაქეობრივად და არც კაცობით არაფერი შეშლიათ, ვინც თავის სამსახურებრივ მოვალეობას ღირსეულად ასრულებდა. სხვათაშორის, ეს თბილისისა და მისი რაიონების მაშინდელ ბევრ ხელმძღვანელს ეხება, რომლებიც ჩვენ – ცკ-ს ხელმძღვანელებმა პრაქტიკულად გავწირეთ და „თითის ქნევის“ გარდა სხვა ვერაფრით ამოვუდექით მხარში. ახლა კი პატიაშვილი წერს, რომ მათ „მიცემული ჰქონდათ კონკრეტული დავალებები შესაძლო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მაგრამ, რატომღაც, ეს დავალება არ იქნა შესრულებული“.

სირცხვილია, ეს!

ზემოთ ვთქვი, რომ პატიაშვილი ვეღარაფრით გამაგვირვებს, ასეთი პოზიციებითა და ტექტიკითაც კი, რადგანაც, თუ ვინმე იცნობს მას ღრმად, მეც ვარ მათ შორის. მაგრამ, ერთი რამ მაინც ვერა და ვერ აუხსენი ჩემს თავს – ის, რომ დრომ ყველას რაღაც მოუხერხა, უმკურნალა – ვის იარა მოუშუშა, ვის გული მოულბო, ვის წყენა გადაავიწყა. პატიაშვილს კი ვერაფერი მოუხერხა. მისი ბოღმა ვერ გააქრა, ანგარიშსწორების სურვილი ვერ ამოუძირკვა, ამბიციები ვერ დაუოკა.

ასეთი სტაბილურობით იგი მართლაც ყველასგან განსხვავდება. ამ სტაბილურობით – მართლაც ყველაზე მაგარია. რკინის კაცია, კლდის ნატეხი. ამიტომ, სწორედ ამ „სიმაგრის“ გამო არ იცვლება და... ვერც შეიცვლება!

მისი და მისი უახლოესი გარემოცვის დრამის გასაღები სწორედ ეს არის – შესაშური სტაბილურობა, რომელიც მუდმივ უკმაყოფილებაშია გადაზრდილი.

– რით ხსნით, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამ უკმაყოფილებას“?

– პატიაშვილი, ეტყობა, ვერ ეგუება თავის დღევანდელ მდგომარეობას, წეროვანის მასშტაბებს; იგი დაუკმაყოფილებელია იმ საქმით, რომლის აწყობას და შედეგიანობას, ჩემი აზრით, ზოგადი ცოდნა და გამოცდილება არ ყოფნის, არც „თითის ქნევაა“ საკმარისი. მაღალი პროფესიონალიზმი კი მას შეუძლებელია ჰქონდეს, ვინაიდან კონკრეტული საქმით ადრე თითქმის არ ყოფილა დაკავებული – ახალგაზრდული წლებიდან სულ „ხელმძღვანელი“ იყო. მუდმივად ასეთი სტატუსი, გარკვეულწილად, რყვნის ნორმალურ კაცსაც კი. თანაც, დროც მძიმეა ახლა და ვერ მალავს ამ უკმაყოფილებას. ისევე, როგორც ვერ მალავდა მაშინაც.

...ახლობლებმაც კი არ იციან ერთი ფაქტის შესახებ, რომელსაც პირველად ახლა გავამჟღავნებ და რომელიც კონკრეტულად ზემოთ თქმულის ასახსნელად და, ზოგადად – საერთო ანალიზისთვის, ერთობ მრავლისმეტყველია. რა თქმა უნდა, ამ ფაქტის მოწმე არ მყავს, გარდა... თვითონ პატიაშვილისა.

...14 აპრილს, ცკ-ს პლენუმზე თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ, გვიან საღამოს, არანათესავთაგან ერთადერთმა ავაკითხე წყნეთის სამთავრობო აგარაკზე. არ მინდოდა დამეტოვებინა მარტო; ვერ ვიჯნებოდი მისი უმძიმესი ტვირთისადმი გულგრილი და გულწრფელად მინდოდა ამოვდგომოდი მხარში; გვიანობამდე ვისაუბრეთ. შევთავაზე ვისაუბრეთ. მძიმე შეხვედრა იყო, მაგრამ საუბარი, როგორც მაშინ მომეჩვენა, გულწრფელი გამოგვივიდა. სინანული (თუ უფრო მეტი არა) გამოთქვა მისი მხრიდან ჩემდამი დაშვებული შეცდომების გამო (მათ შორის იმაზეც, რის გამოც ამ ინტერვიუში ვეკამათები). პირადად მე კმაყოფილი დავრჩი იმდენად, რომ მეორე დღეს, გვიან საღამოს სახლშიც ავაკითხე– დანარჩენს შემდეგ მოვყვები. ამჯერად, მთავარია სხვა რამ.

...ახლობლებმაც კი არ იციან ერთი ფაქტის შესახებ, რომელსაც პირველად ახლა გავამჟღავნებ და რომელიც კონკრეტულად ზემოთ თქმულის ასახსნელად და, ზოგადად – საერთო ანალიზისთვის ერთობ მრავლისმეტყველია. რა თქმა უნდა, ამ ფაქტის მოწმე არ მყავს, გარდა... თვითონ პატიაშვილისა.

პირველი შეხვედრის შემდეგ თბილისამდე გზა თითქმის ფიქრში გავატარე. მანქანაში მჯდომ ერთ–ერთ მეგობარს, რომელმაც არა მარტო იცოდა ამ შეხვედრის პერიპეტიები, არამედ თვითონაც ჰქონდა გადატანილი მასთან მსგავსი შეხვედრის სიმძიმე, ეტყობა, მობეზრდა ჩემი გაჭიანურებული დუმილი და მკითხა, რამ ჩაგაფიქრა ასე დიდხანსო?

მომეჩვენა, რომ არ შეცვლილა–მეთქი ჯუმბერი, ისევ მისტირის წარსულს, ისევ ნაწყენია, ისევ სურს ანგარიშის სწორება...

მეგობრის პასუხი, დაფიქრებული და სინანულით ნათქვამი, ამის დასტური გახლდათ: სამწუხაროდ, ერთადერთი არა ხარ, ვინც ამას ამჩნევო...

...ის, რომ პატიაშვილი გულნატკენია მისი, როგორც თვითონ მიაჩნია, „გუნდის“ წევრებზე, ადამიანურად გასაგებია. მხოლოდ ის – თუ ვინ ... აუხსნელი, თუ რატომ არ აინტერესებდა მას ადრე და არც აინტერესებს დღეს, მისით რატომ არიან უკმაყოფილონი ისინი, ვისთანაც ერთად საქმიანობაში განვლო ათეული წლები.

სამწუხაროდ, პატიაშვილს მაშინაც ეგონა და, საუბედუროდ, ახლაც ვერ განთავისუფლებულა იმ ილუზიიდან, რომ მაღალ თანამდებობებზე, მათ შორის რესპუბლიკის უმაღლეს პოლიტიკურ პოსტზე, იგი ერისა და ქვეყნის წინაშე რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობის დამსახურებით, „გვარიშვილობით და მემკვიდრეობით“ მოვიდა, ხოლო სხვები... მისი „ყმები“ იყვნენ. ეს ფსიქოლოგია ყველასთვის საძრახისია!

ეტყობა, „სხვა რამის“ ცოდნაც არის საჭირო, რომ შეიგნო ელემენტარული ჭეშმარიტება: ყმებისა და მონებისგან პოლიტიკურ თანამოაზრეთა და მოღვაწეთა თუნდაც მცირერიცხოვანი, მაგრამ გულით, სულით, მიზნით და აზრით შედუღაბებული გუნდი ვერ ჩამოყალიბდება. არავის, არსად და არასდროს ამისთვის არ მიუღწევია. უკეთეს შემთხვევაში, მონა–ყმებისგან შეიძლება „ერთ მუშტად“ შეკრა მხოლოდ „ხელის ბიჭები“, კუდქიცინა–მომლიქვნელო ნაძირლები ან, უბრალოდ, არამზადები. ოღონდ, ამას ბანდა ჰქვია!

ღმერთმა დამიფაროს კონკრეტული მინიშნებისგან, მით უმეტეს მსგავსი „ბრალდებიდან“, მაგრამ განა ჩვენი ადრინდელი თუ უახლესი ისტორია ასეთი მაგალითებისგან დაზღვეული იყო?..

– მაინც არ არის ინტერესმოკლებული იმის ცოდნა – ჰქონდა თუ არა პატიაშვილს იმის საშუალება, თავისუფლად ემოქმედა

გაგრძელება მე-10 გვ.

ნუგზარ ფოფხაძე: შევარდნაძის უნებართვოდ ერთი „საიდუმლოც“ უნდა გავთქვა...

მეცხრე გვერდიდან

კადრების დანიშვნისას?

– ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ საკადრო პოლიტიკის განხორციელებისას პატიაშვილი ვალდებული იყო დამორჩილებოდა პარტიაში დადგენილ ნორმებს.

არსებობდა ვერტიკალური ნომენკლატურა. ისევე როგორც საქართველოს ცკ-სადმი დაქვემდებარებული ორგანოები ვალდებულნი იყვნენ ცკ-ს ბიუროსთან და სამდივნოსთან (ე.ი. პატიაშვილთან) შეეთახმებინათ დადგენილ ნომენკლატურულ თანამდებობებზე ნებისმიერი ცვლილება, ასევე ჩვენ, ცკ-ს, ანუ პატიაშვილს მოსკოვისთვის დასამტკიცებლად თუ დასანიშნად უნდა წარედგინა სკკპ ცკ-ს ნომენკლატურულ თანამდებობებზე დასანიშნი კანდიდატები. მაგრამ, ასევე დადგენილი იყო, რომ ინიციატივა, შერჩევის პრეროგატივა ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს, ე.ი. პატიაშვილს ეკუთვნოდა. ამ წესის დარღვევა გამორიცხული იყო.

შეიძლება პარადოქსულად მოგეჩვენოთ ამის მტკიცება, მაგრამ სწორედ ეს წესები აძლევდა მას სრულ უფლებას და ჰქმნიდა იმის პირობებს, რომ ჰქონოდა თავისუფალი არჩევანი, ჰყოლოდა პოლიტიკურ თანამოაზრეთა საკუთარი „გუნდი“ – ნაღდი, უანგარო, კომპეტენტური, თავდადებული, ერთგული.

როცა კაცი პირველ ხელმძღვანელად მიდის, სავსებით ბუნებრივია მისი სურვილი – გადამწყვეტ პოსტებზე მიიწვიოს კარგად ნაცნობი, ერთობლივ მუშაობაში გამოცდილი, მისადმი ლოიალურად განწყობილი, მისთვის დასაყრდენი მუშაკები. არაკომუნისტურ სამყაროში ეს პრობლემა გადაწყვეტილია მარტივად – „გუნდი მიდის-გუნდი მოდის“. საბჭოთა ერთპარტიული სისტემის პრაქტიკა არა მგონია ასე სწრაფად დავიწყებოდეს ვინმეს. და მიუხედავად ამისა, დინჯად და „პნიკის“ გარეშე ახალი ხელმძღვანელი ყველგან და ყოველთვის მაინც ჰქმნიდა დასაყრდენ ბირთვს, ძალას...

პატიაშვილი პირველ მდივნად რომ „აირჩიეს“, ყველა ელოდა, რომ საკვანძო რგოლებში მისი შეხედულებისამებრ მოხდებოდა გარკვეული ცვლილებები. მაგრამ უცხო თვალისთვის კი არა, „პროფესიონალებისთვისაც“ კი ძნელად წარმოსადგენი იყო ის, თუ რა ფორმით და ხერხებით განხორციელდა ეს. ერთი შეხედვით, „ბუნებრივი პროცესი“.

საილუსტრაციოდ გავიხსენებ პირველ ეტაპზე კადრების გადაადგილების რამდენიმე მაგალითს. საქმეში ჩახედულ ხალხს არა მგონია იმის შეხსენება დასჭირდეს, თუ უმრავლეს შემთხვევაში, რა სკანდალური ან პირადი მოტივაცია იდგა ამ გადაადგილებების უკან.

შეიცვალა ცკ-ს ორი მდივანი, მთავრობის თავმჯდომარე, რესპუბლიკის პროკურორი, შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და განათლების მინისტრები, სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარე, პროფკავშირების, კომკავშირის, ქ.თბილისის, ქ.ქუთაისის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობა, უნივერსიტეტის რექტორი, ცკ-ს განყოფილებათა გამგეების დიდი ნაწილი და სხვანი. გარდა ამისა, მოხდა გადაადგილება ზოგიერთ ისეთ პოსტზე, რომელიც ოფიციალურ იერარქიაში ისე არ ქუხს, მაგრამ თავისი მნიშვნელობით უაღრესად ანგარიშსგასაწევია (მაგ. თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსი, მთავრობის სამეურნეო სამმართველოს უფროსი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი და ა.შ.).

ამ სიის გაგრძელება შეიძლებოდა, მაგრამ ეს საკადრო ცვლილებები იმდენად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რომ შემიძლია დაბეჯითებით განვაცხადო: მარტო ეს პოსტებია საკმარისია იმისთვის, რომ სწორი დანიშვნების შემთხვევაში წარმატებულად მართო რესპუბლიკა.

ასევე, დაბეჯითებით ვამტკიცებ იმასაც, რომ ახლად დანიშნულთა აბსოლუტური უმრავლესობა პირადად პატიაშვილის ინიციატივით, ხოლო ბევრი მათგანი, უშუალოდ მისი უახლოესი გარემოცვიდან დაწინაურდა. არც ერთ მათგანს არ აკლდა ნიჭი და უნარი, კომპეტენტურობა, გამოცდილება და პროფესიონალიზმი. მათგან არაერთს უაღრესად პატიოსანი კაცის რეპუტაციაც ჰქონდა.

მაშ, რა მოხდა, რატომ ვერ შეკრა პატიაშვილმა თავისი „გუნდი“, ამ სიტყვის ყველაზე მაღალი გაგებით?.. მათ შერჩევაში შეცდა, „შეაცდინეს“ თუ ყველა მათგანი უზნეო, ორგული, უმადური და უსინდისო აღმოდგა? [illegible] აქ, ადგილზე უმჯობესი ხელმძღვანელი [illegible] თავს ახვევდა ამ კანდიდატურებს რესპუბლიკის ახალ ლიდერს?.. თუ „მავანი“ მოსკოვიდან არ აძლევდა ამოსუნთქვის საშუალებას და აძალებდა ამ თანამდებობებიდან სკანდალით გაერეკა ავტორიტეტიანი ადამიანები?!..

და კიდევ ერთი რამ.

პატიაშვილის პირველ მდივნობას პარტიული და სახელმწიფო აქტივი ძირითადად კეთილგანწყობით შეხვდა. ახალგაზრდა, ვაუკაცური ბუნების, შინაურულ-ბიჭური, სუფრაზე მომლხენისა და მომფერებელი კაცის სახელი, გარკვეულწილად იწვევდა პირად სიმპათიებს. ბიოგრაფია ჰქონდა, ათ წელზე მეტი უკვე ცკ-ს მდივანი გახლდათ. ამას დაუმატეთ გავრცელებული ინფორმაცია (რომელიც საფუძველს მოკლებული არ გახლდათ) იმის თაობაზე, რომ პატიაშვილი გორბაჩოვის პირადად შერჩეული კანდიდატურაა, რომ იგი მასთან მეგობრულ ურთიერთობაშია და ა.შ.

განა რა არის კიდევ საჭირო, რომ აქტივის პატივისცემა, რიდი, მოწიწება და, რაც მთავარია, დისციპლინა უზრუნველყოფილი გქონდეს?!

როგორ არ გაგახსენდეს გალაკტიონი: ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!

ესაუბრა
ბუბაზ მეგრელიძე

გაგრძელება იქნება

თამბაქის დრეობა ბავშვობიდან!

ბამოხმაურება

ბახეთ „საქართველოს“ 1997 წლის 6-9 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ბ-ნ ლერი სიხარულიძის ღია წერილი – „მიმართვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბ-ნ ზურაბ ჟვანიასა და ფრაქცია „ერთიანი-დემოკრატის“ ლიდერის ბ-ნ მამუკა გიორგაძისადმი“. იგი ეხება რუსეთის პარლამენტარის გენადი სელეზნიოვის ჩამობრძანების საქართველოში, მის გამოსვლას საქართველოს პარლამენტის სხდომაზე და, უკან დაბრუნების შემდეგ, „შობლიურ მოსკოვში“ კორესპონდენტებისადმი მიცემულ ინტერვიუს შინაარს.

მიუხედავად იმ დიდი პატივისცემისა, რაც მას მიაგეს საქართველოში, იგი უკმაყოფილო დარჩენილა ქართველთა ანტირუსული განწყობილების გამო. მის გამოსვლებს აქაც და იქაც, თურმე ახასიათებდა ტრადიციული, საბჭოური პერიოდის დამახასიათებელი რუსული ქედმაღლობა, რომელიც გაზავებული ყოფილა შოვინისტური გამოხდომებით „უცროსი ძმისადმი“. ასეთი დიდმპყრობელური გამოსვლის შედეგი ყოფილა ის, რომ მისი საქართველოს პარლამენტში გამოსვლისადმი პროტესტის ნიშნად სხდომათა დარბაზი დემონსტრაციულად დაუტოვებია მ.გიორგაძეს და მის ფრაქციის. ამ ფაქტის ავტორისეული უარყოფითი შეფასება გამართლებული არ უნდა იყოს...

ბ-ნი ლერი სიხარულიძე აქვე გვაუწყებს მის სამართლიან გაკვირვებას და წერს: „საქართველოს მრავალპარტიული პარლამენტის ტრიბუნიდან განახლებულ ქართულ სახელმწიფოსა და მის „ხალხებს“ – ბ-ნ გენადი სელეზნიოვის „ჩათვლით“, ყველანაირი რანგისა და მასშტაბის ქართველმა და არაქართველმა მოღვაწემ დისდო პატივი თავისი მისალმებით თუ „სეფე-სიტყვით“!

რატომღაც ასეთი პატივი დღემდე არ ღირსებია ქართული სახელმწიფოებრიობის ყველაზე თვალსაჩინო, ყველაზე ტრადიციულ, ყველაზე ამაგდარ და დღემდე ცოცხალ სიმბოლოს – ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელს!“

საილუსტრაციოდ, ამ გამონათქვამის ფონზე მიუთითებს, რომ ჩვენ ვერ ვიცლით, ან დავიწყებული გვაქვს ღირსეული წინაპრები, მათ შორის თამარ მეფე, რომლისთვისაც არ გადაგვიხდია რაიმე იუბილეც კი. იგულისხმება, ალბათ, საბჭოთა პერიოდი, როცა მეფეების კი არა, თავადაზნაურთა წარმომადგენლების ხსენებაც არ შეიძლებოდა. რაც შეეხება თამარ მეფეს, – მას ქართველი ხალხი ყოველთვის სასოებით იხსენიებს და დღეობებსაც უხდიდნენ რევოლუციამდე მისი დაბადების დღეს, პირველ მაისს, ძველი სტილით. ამის დასტურია აქვე გამოქვეყნებული „აფიშა“.

ამავე წერილში, ბატონი ლერი, წინააღმდეგია, აღინიშნოს დამოუკიდებელი საქართველოს 80 წლისთავის იუბილე. მას არ სურს იუბილეზე მოიხსენიებოდეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, ილიას მკვლელობის ხელშემწყობი ნოე ჟორდანია. ჩემი აზრით, ამ იუბილეს ჩატარება აუცილებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ დავანახოთ მთელ მსოფლიოს „ერთმორწმუნე“ რუსეთის მხრიდან საქართველოს მეორედ დაპყრობა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფეხქვეშ გათელვა.

სიტყვამ მოიტანა და აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ ილია ჭავჭავაძე, ისევ როგორც სხვა დიდგვაროვანთა შთამომავალი შემოქმედნი, თვით რუსთაველის ჩათვლით, პროლეტარული კულტურისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისთვის, 1937 წლამდე მიუღებელნი იყვნენ...

საყოველთაო ფაქტია, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დღესაც გრძელდება. ეს ასე რომ არ იყოს, სელეზნიოვები „ოზლერის ბაღიდან“ არ გვყოლებოდა, – ვერ გაბედავდნენ ქართულ პარლამენტზე შოვინისტურ, დამპყრობლურ გამოსვლებს და, რაც მთავარია, 1921 წლიდან დღევანდლამდე საქართველო არ იმყოფებოდა ოკუპირებული რუსული ჯარით. ილიას მკვლელობა გრძელდება იმიტომაც, რომ 5 მილიონიანი რესპუბლიკიდან მილიონზე მეტმა ზურგი შეაქცია უბედურებაში მყოფ სამშობლოს და გადაიხვეწა უცხო ქვეყნებში. ილიას მკვლელობა გრძელდება იმიტომაც, რომ ქართველი ერის ისტორიის მთელ მანძილზე პირველად საკუთარ სამშობლოდან, – მშობლიურ კუთხიდან გამოდევნილი იქნა „ლტოლვილთა“ სახით 300 ათასზე მეტი ქართველი, რომ აღარაფერი ვთქვათ ოსების, სომხების, თურქთა და სხვათა პრობლემებზე.

ამ წინამძღვრების ფონზე სეგდიან ღიმილს იწვევს ილია ჭავჭავაძის 160 წლისთავისათვის გამოყოფილი საიუბილეო კომისია. საქმე კი ისე უნდა გვქონდეს დაყენებული წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) მიმართ, რომ მისი დაბადების დღე ყოველგვარი კომისიის გარეშე აღინიშნებოდეს საქართველოში ყველგან, ყველა დაწესებულება-ორგანიზაციაში, ყველა ოჯახში. ეს ეხება არა მარტო ილიას, არამედ ყველა გამოჩენილ მეფე-მთავარს, სამშობლოსათვის ყველა წამებულს, ყველა ქართველ წმინდანს, რომელთა შესახებ თითქმის არაფერი იცის საქართველოში მცხოვრებელმა ქართველმა და მით უმეტეს, არაქართველმა მოსახლეობამ!

ვახტანგ გურგენიძე,
1997 წლის იანვარი

თამარ მეფის დღესასწაული.

კვირას, 1 მაისს 1916 წ.

„გაზეთლების“ საზოგ. მართავს

თამარის დილას

გასაყოფილება I.

ცა'ხოვადო ვასხილვა თამარის მეფობისა.

წაიკითხავს მოსე ჯანაშვილი.

გინყოფნლება II.

ა) **თამარ მეფის ტახტზე ასვლა.** მოძრავი სურათი.

ბ) დეკლამაცია

გრ. დიასამიძე წაიკითხ. აკაკის ლექსს — „თამარის შესხმა“

ნ. დ. ერისთავი — „გელათი“ ვ. ორბელიანისა

კნ. ეკ. ამირაჯიბი — ა. ზანშიაშვილის ლექსს, დაწერილ თამარის სადღესასწაულოთ.

გინყოფილება III.

ა) **თამარის ნადიმი.** მოძრავი სურათი: (სუფრული და ცეკვა სამაია)

ბ) გრ. რობაქიძე წარმოსთქვამს „ცოცხალი ლეგენდა“.

დასასრული აპოთეოზი

თამარი მაღლობზე დგას, თავზე ნათელი ადგია. მის წინ კვარცხლ-ბეკზე სდგას შანდალი კელაპტრით, ნიშანი მადლობისა და პატივისცემისა. იკმევა ბუნდოვანი. შორიდან მოსჩანს საქართველოს ციხე ეკლესიანი.

ისმის საგალობელი: „თამარის დროშა გაშალეს“

შემოსავალი ამ „დილისა“ მოხმარდება მომავალ ქალთა სამოსწავლო სემინარიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმართლე უპირველეს ყოვლისა

ისტორიის გაყალბება, ამა თუ იმ მოვლენის დამახინჯებულად და სუბიექტური პოზიციებიდან წარმოჩენა ჩვენი ყოფის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ისევ დადგება 14 აპრილი. ისევ ჩატარდება საზეიმო სადამო, ისევ გამოვლენ ადამიანები, თავის დიდ დამსახურებაზე ისაუბრებენ და მათ შორის იქნებიან ისინიც, რომელნიც კბილებს აღრჭიალებდნენ 1978 წლის 14 აპრილს და წინა დღეებშიც იმათ წინააღმდეგ, ვინც ქართული ენის შეურაცხყოფის გამო გაიღაშქრეს.

ღვთის მადლით, ადამიანები ჯერ კიდევ არ შეუპყრია კოლექტიურ სკლეროზს...

ძნელია გაზეთის ერთ ნომერში მოთავსდეს ყველაფერი, რაც ჩვენი ისტორიის ამ მნიშვნელოვან თარიღთან არის დაკავშირებული. ამიტომ, აქედანვე, ნება-ნება მიეყვებით იმ პუბლიკაციების გამოქვეყნებას, რომლებიც სტენოგრაფიული სიზუსტით აღგვიდგენს მაშინდელ ვითარებას.

ვიწყებთ ბატონი აკაკი ბაქრაძის პუბლიკაციით. ამთავითვე აღვნიშნავ, ნურავინ იფიქრებს, ეს წერილები მაშინდელი ცეკა-ს პირველი მდივნის საწინააღმდეგოდ ქვეყნდება. დაკვირვებული თვალი ამ პუბლიკაციაშიც ბევრ რასმეს საგულისხმოს ამოიკითხავს ამ მხრივ... მოვლენები შედეგით ფასდება. იმ მოვლენებსა და შედეგზე კი პუბლიკაციების დასასრულს მეც მიეცემ თავს ნებას ერცელი წერილი გამოვაქვეყნო.

ასე რომ, გვაცალეთ ბატონო!

ნოდარ გრიგალაშვილი



აკაკი ბაქრაძე: ედუარდ შევარდნაძემ კი დაამატა: რაც შეეხება ბაქრაძეს, აქედან რომ გახვალთ, ნუ ჩაქოლავთ...

1978 წლის 23 მარტს, ხუთშაბათ დღეს, საქართველოს კპ ცკ-ში პროპაგანდის განყოფილების გამგემ გიორგი ბედნიერიშვილმა თათბირი ჩაატარა. თათბირს კულტურის განყოფილების გამგე ალექსანდრე ალექსიძეც ესწრებოდა. მიწვეულნი იყვნენ შემოქმედებითი კავშირების მდივნები, კულტურის სხვადასხვა დაწესებულებათა დირექტორები და პარტკომები. თათბირს პროპაგანდის გამგემ მოახსენა:

– ხვალ, 24 მარტს პრესაში გამოქვეყნდება საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუციის პროექტი. ჩვენ ძალიან სერიოზულად უნდა მივეკიდოთ მის განხილვას. რაც შეიძლება მაღალ დონეზე უნდა ჩატარდეს იგი. ახალი კონსტიტუცია არსებითად იგივეა, რაც ძველი, მაგრამ არის ერთი ცვლილება: ამოღებულია მუხლი, სადაც ეწერა – საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენა არის ქართული – და მის მაგიერ შეტანილია 75-ე მუხლი, რომელიც ამგვარად გახლავთ ჩამოყალიბებული და გ. ბედნიერიშვილმა წაიკითხა 75-ე მუხლი. „საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმიწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის.

„საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებთანაც მოსახლეობა სარგებლობს.

რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება".

(საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი დაბეჭდილია 1978 წლის 24 მარტის გაზეთ „კომუნისტში").

როცა ამ მუხლის კითხვა დამთავრდა, დარბაზში უკმაყოფილების ჩურჩული გაისმა. *ჯანსუღ ჩარკვიანმა* პროპაგანდის გამგეს კითხვა მისცა: – რამ, რა აუცილებლობამ გამოიწვია მუხლის შეცვლა? *გ. ბედნიერიშვილმა* მიუგო: – ძველ, 1936 წლის კონსტიტუციებში, მხოლოდ საქართველოსა და სომხეთს ჩაუწერეს, რომ ამ ქვეყნებში, შესაბამისად, ქართული და სომხური სახელმწიფო ენები. სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციებში ეს ყოფილა მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ. ამიტომ ყველა რესპუბლიკა ერთნაირ მდგომარეობაში რომ იყოს, გადაწყვიტეს 76-ე მუხლი, სადაც სახელმწიფო ენაზეა ლაპარაკი, ამოეღოთ. ჩაწერეს 75-ე მუხლი. ისიც უნდა გითხრათ, რომ, გარდა საქართველოსა და სომხეთისა, 75-ე მუხლი არ არის არც ერთი მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციაში. ამით სკკპ-ის ცკ-მა ღრმა პატივისცემა გამოამჟღავნა ქართული და სომხური ენების მიმართ.

როცა პროპაგანდის განყოფილების გამგემ პასუხი დამთავრა, სიტყვა ვითხოვე და ვთქვი: ამგვარ ცვლილებას ქართველი საზოგადოება დადებითად არ შეხვდება. ჩვენი ხალხი არ დაუშვებს ქართული ენის კონსტიტუციურ შეურაცხყოფას. ამან შეიძლება ძალიან ცუდი ნაყოფი გამოიღოს. ამიტომ უმჯობესია აღვადგინოთ ის, რაც ეწერა ძველ კონსტიტუციაში, და ამოვიღოთ ეს საეჭვო 75-ე მუხლი.

დარბაზში ვითარება დაიძაბა. მაშინ *გიორგი ნატროშვილმა* ითხოვა: აქ მოწვეულთაგან კონსტიტუციის პროექტი არავის წაუკითხავს. თქვენ მხოლოდ ერთი ცვლილება გაგაცანით, სხვა რა წერია და როგორ, არ ვიცით, ამიტომ გთხოვთ, ჯერ ნუ გამოაქვეყნებთ პროექტს. მოგვეცით საშუალება წავიკითხოთ, ღრმად გავეცნოთ, მოგახსენოთ ჩვენი აზრი. მოისმინეთ იგი. აწონ-დაწონეთ და ამის შემდეგ გამოაქვეყნეთ პროექტი.

– რუსულ ტექსტში არაფრის შეცვლა არ შეიძლება, – უპასუხა გ. ნატროშვილს პროპაგანდის განყოფილების გამგემ. – ქართული თარგმანი კი, ბატონო, დახვეწეთ, დაამუშავეთ, გააშალაშინეთ, არავის არაფერი აქვს საწინააღმდეგო, – და თათბირი დახურულად გამოაცხადა.

მეორე დღეს, 24 მარტს, გაზეთ „კომუნისტში" საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციის პროექტი გამოქვეყნდა. იმავე დღეს საქართველოს კპ ცკ-ის სხდომათა დარბაზში დიდძალი საზოგადოება შეიკრიბა: რაიკომის მდივნები, მინისტრები, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორები, შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები და ასე შემდეგ. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მხრიდან ესწრებოდნენ *ედუარდ შევარდნაძე, ვიქტორია სირაძე, სოლიკო ბაბეიშვილი, გიორგი ბედნიერიშვილი, ქიუელი შარტავა.* საერთო ინფორმაცია *ედ. შევარდნაძემ* მიაწოდა შეკრებილ საზოგადოებას. *ს. ბაბეიშვილმა და გ. ბედნიერიშვილმა* კი ილაპარაკეს იმაზე, რომ აუცილებელია კონსტიტუციის პროექტის განხილვა ჩატარდეს ერთსულოვნებისა და საზეიმო ვითარებაში.

როცა ოფიციალურ პირთა გამოსვლები დამთავრდა, ედ. შევარდნაძემ დამსწრე საზოგადოებას მიმართა – რას იტყვითო. დარბაზი დადუმდა. ეტყობოდა, საკუთარი ინიციატივით ლაპარაკის დაწყებას არავინ აპირებდა. მაშინ საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი თავად მიუბრუნდა კრების მონაწილეებსა და კითხვები დაუსვა. პირველად განათლების მინისტრს ჰკითხა: როგორ არისო საქმე განათლების სამინისტროში? *მინისტრმა უპასუხა* – განათლების სამინისტრო მზად არის კონსტიტუციის პროექტის განსახილველად. ეფიქრობ, მხარდაჭერაც ერთსულოვანი იქნებაო.

შემდეგ ედ. შევარდნაძე საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანს მიუბრუნდა. მასაც იგივე კითხვა დაუსვა, რაც განათლების მინისტრს. მდივნის პასუხიც დადებითი იყო. კრების მესამე მონაწილე, ვისაც ედ. შევარდნაძემ კითხვით მიმართა, გახლდათ თბილისის უნივერსიტეტის რექტორი.

უნივერსიტეტის რექტორი: ავად ვიყავი და უნივერსიტეტში დღეს მივედი. ამდენად სრულ ინფორმაციას ვერ მოგაწვდით. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვამ კარგად ჩაიაროს. თუმცა გულახდილად უნდა გითხრათ, რომ უკვე შემატყობინეს, რომ როგორც პროფესორ-მასწავლებელთა, ისე სტუდენტთა შორის არის უკმაყოფილება.

ედ. შევარდნაძე: მაინც რით?

უნივერსიტეტის რექტორი: განსაკუთრებით 75-ე მუხლით, სადაც ენაზეა ლაპარაკი.

ედ. შევარდნაძე: რას ამბობენ, რატომ არ მოსწონთ?

უნივერსიტეტის რექტორი: კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით. როგორც გითხარით, ავადმყოფობის შემდეგ, დღეს პირველად მივედი უნივერსიტეტში. ვითარებას ზუსტად გავეცნობი და მოგახსენებთ.

ედ. შევარდნაძე: პირადად თქვენ რა აზრის ხართ, მოგწონთ თუ არა 75-ე მუხლი?

რექტორი გაჩუმდა. არც ჰო უპასუხა და არც არა.

ედ. შევარდნაძემ საკვედურით შენიშნა, – თუ თქვენ არ გაქვს შემუშავებული საკუთარი აზრი, მაშინ, ცხადია, ვერ უხელმძღვანელებთ უნივერსიტეტში კონსტიტუციის პროექტის განხილვას, – და ისევ შეკრებილთ მიმართა – კიდევ ვის სურს სიტყვა.

მე ვითხოვე სიტყვა.

– პირველად ახალი კონსტიტუციის შესახებ გუშინ მოვისმინე თათბირზე. დღეს დილით უკვე გაზეთშიც წავიკითხე პროექტი. გუშინაც ვთქვი და დღესაც უნდა გავიმეორო – არ მომწონს და არ ვეთანხმები 75-ე მუხლს. ისიც უნდა გითხრათ: წელან აქ რომ ზოგიერთი შეუნებული ამბენ, რომელსაც არ ესმის ამ კონსტიტუციის მნიშვნელობა, მე ვარ.

ედ. შევარდნაძე: მაინც კონკრეტულად რა არ მოგწონს?

მე: მთელი მუხლი. პირველი სტრიქონიდან ბოლო სტრიქონამდე. მე მიმაჩნია, რომ ენის შესახებ კარგად არის ნათქვამი დღეადღეობით მოქმედ კონსტიტუციაში – საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული. მას შეცვლა არ სჭირდება. 75-ე მუხლი კი დამამცირებელი ქვეტექსტის მატარებელია.

ვ. სირაძე: რატომ კითხულობთ კონსტიტუციას ქვეტექსტებით?

მე: ყოველი ტექსტი, მათ შორის კონსტიტუციაც, ქვეტექსტის მატარებელია. ყველა შეგნებული მკითხველი მოვალეა წაიკითხოს ეს ქვეტექსტი.

ედ. შევარდნაძე: კრიტიკოსის პოზიციიდან ნუ გველაპარაკებით.

მე: კრიტიკოსობა არაფერ შუაშია. უბრალოდ ვცდილობ მკაფიოდ გამოვთქვა აზრი. ხომ ცხადია: მნიშვნელობა რომ არ ჰქონდეს, არავინ მოსკოვში არ ამოიღებდა ძველი კონსტიტუციიდან მუხლს, სადაც ქართული ენის სახელმწიფოებრივობაზეა ლაპარაკი და არ ჩაწერდა ახალ 75-ე მუხლს. მაშასადამე, არსებობს ჩანაფიქრი, რაც ქართული ენის წინააღმდეგ არის მიმართული.

(როცა ეს საუბარი მიმდინარეობდა, კრების პრეზიდიუმიდან ისმოდა ხმები – ვინ ყოფილა ეს, რა უკუღმართი აზროვნება ჰქონია).

ედ. შევარდნაძე: ჩამოაყალიბეთ ეს მუხლი თქვენ და, სიტყვა გაძლევთ, ისე შევიტანთ კონსტიტუციაში.

მე: ვფიქრობ, არაფერია ჩამოსაყალიბებელი. უბრალოდ ძველი კონსტიტუციიდან ახალ კონსტიტუციაში უნდა გადმოვიტანოთ მუხლი, სადაც ნათქვამია: საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენა არის ქართული. აზრი ჩამოყალიბებულია სხარტად და მკაფიოდ. მას არც შეცვლა სჭირდება და არც გასწორება.

ედ. შევარდნაძე: ეს შეუძლებელია.

მე: თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ყველა ჩვენთაგანისათვის გასაგებია: ქართულს კონსტიტუციურად ართმევენ სახელმწიფო ენის ფუნქციას. ჩვენი ხალხიც მოიქცევა მდგომარეობის შესაბამისად.

სიტყვა დავამთავრე. დარბაზი გაჩუმებულა. ზედიზედ გამოვიდნენ კულტურის სამინისტროს, მეცნიერებათა აკადემიის, მხატვართა, კომპოზიტორთა, მწერალთა კავშირების, ინსტიტუტის წარმომადგენლები.

კულტურის მინისტრის მოადგილე: უპირველესი, რაც უნდა მოგახსენოთ, არის ის, რომ ბაქრაძე აქ არ ლაპარაკობდა კულტურის სამინისტროს სახელით. მის აზრს არ იზიარებს კულტურის სამინისტრო. სამინისტროს სახელით პირობას გაძლევთ, რომ კულტურის სამინისტროს უწყებებში მაღალ დონეზე ჩაივლის კონსტიტუციის პროექტის განხილვა და იქნება ერთსულოვანი მხარდაჭერა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი: არც კი მოველოდი, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტი რაიმე აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევდა, იმდენად ბრძნულად არის იგი შედგენილი. მე გამაკვირვა ბაქრაძის გამოსვლამ. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ჩვენი სახელმწიფო ენა არის რუსული და უხერხულიც კი არის სახელმწიფო ენად ქართული მოვითხოვოთ. ჩვენი კონსტიტუციის თანახმად არაფინ ვვიკრძალავს ქართულად ლაპარაკს და ეს უდიდესი მიღწევაა. მე მახსოვს მეფის დროს, როგორ გამოუცხადეს მამაჩემს საკვედური იმის გამო, რომ სამსახურში ქართულად დალაპარაკა. ახლა ეს არ მოხდება, რადგან ქართულად ლაპარაკის უფლება მონიჭებული გვაქვს. ჩვენში უკვე ყველა განათლებულმა ადამიანმა იცის რუსული და სხვა სახელმწიფო ენა არ გვჭირდება. პირობას გაძლევთ, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემია უეჭველად დაუჭერს მხარს ახალი კონსტიტუციის პროექტს.

მხატვართა, კომპოზიტორთა და მწერალთა კავშირების მდივნებმა ერთხმად მიიწონეს კონსტიტუციის პროექტი. 75-ე მუხლი მიიჩნიეს კონსტიტუციური აზრის უდიდეს მიღწევად. ცკ-ის აღუთქვეს ერთსულოვანი მხარდაჭერა.

განსაკუთრებით ღელავდა უცხო ენათა პედინსტიტუტის რექტორი. იგი ყვიროდა – რას ბედავენ, რას მოითხოვენ... ახალ კონსტიტუციაში ილიას ოცნებაა განხორციელებული. მეტი რაღა გინდათ? ილიას ოცნება ჩვენ განვახორციელეთ. ამაზე დიდი გამარჯვება რა შეიძლება იყოს?..

იმდენად ნერვიულობდა, რომ განათლების მინისტრმა დაუსახა – რა მოგვიდათ, რატომ ღელავთ ასე? რექტორმა აკანკალებული ხმით უპასუხა – როგორ არ უნდა ვღელავდე, როცა ვიღაც-ვიღაცეები გვიწუნებენ პროექტს, იმ პროექტს, რომელიც ჩვენი ხალხის გამარჯვების გამომხატველია. მას აუცილებლად მთელი ერის ერთსულოვანი მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს.

ამის მერე კიდევ ერთი პოეტი და ერთი პროზაიკოსი გამოვიდა. მათაც მოიწონეს კონსტიტუციის პროექტი, ოღონდ სტილისტური დახვეწა ითხოვეს. ამაზე ედ. შევარდნაძემ უპასუხა, აგერ ხართ მწერლები და დახვეწეთ და დაამუშავეთ. ამის წინააღმდეგი არავინ არის.

მეტი აღარავინ გამოსულა.

სამოლოო სიტყვა თქვა ედ. შევარდნაძემ. იგი ამტკიცებდა, რომ კონსტიტუცია დიდ პერსპექტივებს უშლის წინ ქართველ ხალხს და იგი დიდი მონაპოვარია. „სახელმწიფო ენის" ჩაწერა არ შეიძლება, იმიტომ რომ ლენინი იყო მისი წინააღმდეგი. მართალია, ამას რუსული ენის შესახებ ამბობდა, მაგრამ დებულება მაინც ყველა ენას ეხებოო. თუმცა ესეც დასძინა – ერთადერთი რასაც მოსკოვში მივაღწიეთ, ეს 75-ე მუხლია. იგი არ შეიცვლება. იმედიც გამოთქვა: ქართველი ხალხი ერთსულოვნად დაუჭერს მხარს ახალ კონსტიტუციას და მისი მიღება საზეიმო ვითარებაში ჩაივლისო.

შემდეგ კი დაამატა: რაც შეეხება ბაქრაძეს, აქედან რომ გახვალთ, ნუ ჩაქოლავთ. მან აქ გულწრფელად ილაპარაკა და მოწვევითაც იმიტომ

გაგრძელება მე-12 გვ.

კაიფვორდი



თარაზულად: 4. მიცვალებულის „კატით“ გასასვენებელი; 7. „ტილიანი“ ციხე პარიზში; 8. დეკებთან მებრძოლი „დილის“ გმირი; 9. „დათვის ნაშიერის“ სატარებელი ტრანსპორტი; 11. „მძიმე“ რიჩარდი; 12. „ბუების“ და „ხარების“ ქალაქი აზიაში; 15. ხელზე ან სახეზე წასასმელი „მანქანა“; 16. მოკლე, მსუქანი „ტიტა“; 17. „ნოტებზე“ მომღერალი, ძაღლის მსგავსი ცხოველი; 19. „კაკბების“ სოფელი საგარეჯოს რაიონში; 22. ის, რაც კახელ ცოლ-ქმარს ასთმა ეგონათ (ანეკდ.); 23. „ამოსაჩრელი“, თურქი ცხენოსანი მეომარი; 24. „აკიმას“ იაპონური ხალათი; 27. ძველი ტრანსპორტი, რომელშიც „რეტი“ გესხმოდა; 31. ნათურიანი „რეიკა“; 32 „ყურიანი“ კერძი (რუს.კავშ.); 33. სახელმწიფო, რომელიც გვიმტკიცებს, რომ „ია“-ჯუჯა ცხენია; 35. „მთვარიანი“ შოკოლადი (რუს.კავშ.); 36. რუსეთის მდინარე, რომელიც „ონში“ მიედინება.

შვეულად: 1. ჭადრაკის ფიგურა, რომლითაც ახლაც შეგიძლია ისეირნო; 2. „ლარიანი“ ჭაობის ავადმყოფობა; 3. მეტროს სადგური თბილისში, სადაც ისეთი „ლელეებია“, შეიძლება კისერი მოიმტვრიო; 4. „სელზე“ მოდუღებული სასმელი; 5. „კუკურის“- ძველი თეთმფრინავი; 6. „დილით“ საჭმელი კამა (რუს.კავშ.); 7. წყლის დამტარებელი ჯანიანი „ბაბაიაგა“; 10. ჭეიშვილის „საზოგადოებრივი დატვირთვა; 13. საკუთარი თავის დამკმაყოფილებელი „ნანის“ მიმდევრობა; 14. „ნადდი“ გაზეთი; 15. „კატების“ ფრანგული ღვინო; 18. „მედიას და ანას“ გეომეტრიული მონაკვეთი; 20. „ქეთის“ საყვარელი სახელმწიფო; 21. „აზიზი“ ქალი, რომელსაც შუფუტინსკი უმღერის; 24. „კალის“ ნიგოზი; 25. ყელზე ჩამოსაკიდებელი „მანია“; 26. ადგილი, სადაც უწყლობა არ გაწუხებს; 28. „ჩვენი“ ნარკოტიკი (რუს.კავშ.); 29. „მაიას“ საყვარელი თევზი; 30. ყომარში ჩასასვლელი „ცხენი“ (რუს.კავშ.); 34. თბილისელი ქურთების გმირი წინაპარი.

აკაკი ცოტაძე

წინა კაიფვორდის პასუხები

თარაზულად: 5. სამსუნგი; 7. ნიქსონი; 8. სამგორი; 10. მერი; 11. სირანო; 12. სალამი; 13. ტირიფი; 14. ანტალია; 15. დიმი; 18. ზეიგენი; 20. ბებერი; 23. ნიაგარა; 25. სარდინია; 26. ელია; 27. აგონია; 28. მირკანი; 33. ისინდი; 34. კანონადა; 35. ლალი; 36. ქვა; 37. ბალადა.

შვეულად: 1. ამანათი; 2. ინაური; 3. ქოქოსი; 4. ბარაბანი; 6. ნაომი; 9. გიმნაზია; 16. აბასთუმანი; 17. ფიანდაზი; 19. გერმანია; 21. ბერდენა; 22. მარია; 23. ნალია; 24. გარგარი; 28. მამლუქი; 29. კალია; 30. კუასიბა; 32. ბოსელი; 38. აკლდამა; 31. ამალა.

აკაკი ბაქრაძე: ედუარდ შევარდნაძემ კი [illegible] რაც შეეხება ბაქრაძეს, აქედან რომ გახვალთ, ნუ ჩაქოლავთ...

მეთერთმეტე გვერდიდან

მოგიწვიეთ, რომ აზრი გულახდილად გეთქვათ.

თათბირი დამთავრდა.

(როცა 1978 წლის 24 მარტის საქართველოს კპ ცკ-ში ჩატარებული კრების სტენოგრაფიული ჩანაწერი გამოქვეყნდება, მკითხველი მკაფიოდ დანახავს, რომ, მართალია, მოკლედ, შკუშმულად, მაგრამ სრულიად ობიექტურად გადმოვეცი ის, რაც თათბირზე მოხდა).

მომავალი ამბებისათვის ამ კრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისში თვალის დახამხამებაში გავრცელდა მისი ამბავი.

დაიწყო საზოგადოებრივი აზრისა და კომუნისტური პროპაგანდის ბრძოლა.

1978 წლის 26 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული საქართველოს კპ ცკ-ის დადგენილება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისაგან მოითხოვდა ერთსულოვნად დაეჭირათ მხარი კონსტიტუციის ახალი პროექტისათვის.

„საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა ერთხელ კიდევ დაადასტურებს საქართველოს მშრომელთა მონოლითურ შეკავშირებას კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის – პარტიისა და ხალხის გამოჩენილი შვილის ლ.ი. ბრეჟნევის გარშემო“.

აქტიურად ამოქმედდა პარტიულ-ადმინისტრაციული აპარატი. იგი ყველა ღონეს ხმარობდა ზეგავლენა მოეხდინა ადამიანებზე, დაებნიათ და დაეშორებინათ ისინი.

თანამდებობის მქონე პირებს ემუქრებოდნენ მოხსნით.

აწყობდნენ ნაუცბათევ და სახელდახელო კრებებს. მაგალითად, მწერალთა კავშირში ორჯერ ჩატარდა საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუციის განხილვა. 1978 წლის 31 მარტს „ლიტერატურული საქართველო“ იუწყებოდა, რომ მწერალთა კავშირმა მოაწყო კონსტიტუციის პროექტის განხილვა. „მწერლებმა აღნიშნეს ის საყოველთაო აღმავლობა, რაც კონსტიტუციის ახალი პროექტის გამოქვეყნებამ გამოიწვია. გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებანი და სურვილები“.

არ არის ეს ინფორმაცია სიმართლის მაუწყებელი. ჯერ ერთი, ეს არ ყოფილა მწერალთა კრება. ეს იყო კრება მწერალთა სახლის მომსახურე პერსონალისა. ამ კრებას დაესწრო მხოლოდ რამდენიმე მწერალი, რომელიც იმ დროს შემთხვევით აღმოჩნდა მწერალთა სახლში. მეორეც, მწერლებს არ მოუწონებიათ კონსტიტუციის პროექტი. პირიქით, მწერლების იონა ვაკელის, მურმან ლებანიძის, ნოდარ წულეისკირის მკაფრ-კრიტიკული გამოსვლის შედეგად, კრება სასწრაფოდ შეწყვიტეს და არც რაიმე დადგენილება მიუღიათ.

ამის გამო იყო, რომ 12 აპრილს მწერალთა კავშირში ხელმეორედ ჩატარდა კონსტიტუციის პროექტის განხილვა. ბევრი ხალხი ვერ შეგროვდა. საგანგებოდ ცრუ ხმა იყო გავრცელებული – მწერალთა კავშირში პარტიული კრებაა. მოვიდნენ ისინი, ვინც მიხვდა, რა მიზნით კრებდნენ ხალხს. მაინც ცხარე სჯა-ბაასი გაიმართა. დარბაზში ემოციის სახმილი გიზგიზებდა.

ერთნი იცავდნენ კონსტიტუციის პროექტს.

მეორენი კატეგორიულად იწუნებდნენ მას. ზოგიერთმა მწერალთა კავშირის წევრობაზეც თქვა უარი (მაგალითად, პოეტმა ნელი გაბრიჩიძემ). კავშირის წევნაკები კრების პრეზიდიუმს დაუწყეს წინ.

მესამენი მორიგების გზას ეძებდნენ. არც მწვადი უნდოდათ დაეწვათ და არც შამფური.

ოცზე მეტი კაცი გამოვიდა მაშინ სიტყვით. მაგრამ გვარებს აღარ ჩამოვთვლი, რაკი აუცილებლად მიმაჩნია ამ კრების სტენოგრაფიული ჩანაწერის გამოქვეყნება. საერთოდ, გადაუდებლად უნდა შეგროვდეს ყველა ის სიტყვა, რომელიც ითქვა ენათმეცნიერების, ისტორიის, ლიტერატურის ინსტიტუტებში, საქართველოს ისტორიის მუზეუმში, უნივერსიტეტში და სხვა დაწესებულებებში და გამოიცეს ცალკე წიგნად. ეს სრულ წარმოდგენას მოგვცემს იმჟამინდელი საზოგადოებრივ განწყობილებაზე.

მწერალთა კავშირის კრებაზე შექმნილი ატმოსფეროს წარმოსადგენად მოვიტან ნაწყვეტებს ნოდარ წულეისკირის სიტყვებიდან:

„კონსტიტუციურად გფორმდა უკანონობა და უსამართლობა, რასაც წლების მანძილზე მისდევდა საქართველოს მთავრობა.

ამით კანონდება ორენოვანება. რატომ ივიწყებენ ლენინს: „რუსულის ძალით დამკვიდრება გამწვავებს მტრობას“.

ქართველს დღევანდელ საქართველოში ისეთივე უფლება მიეცა, როგორც ემიგრანტებს საფრანგეთში.

ქართველებს საყუდარი არსად აქვთ. ან უნდა იბრძოლონ, ან საკუთარ მიწაში საფლავი გაითხარონ.

ეს ცვლილებები კონსტიტუციაში წინასწარ დასახული პროგრამაა. ესაა ენების დაახლოვების შედეგად ფუძე ენის, რუსული ენის საფუძველზე ერთი ენის შექმნა.

ერები და ენები კაცობრიობის სიმდიდრეა.

ქართველმა მწერალმა უნდა იბრძოლოს: ცალ ხელში ხმალი ეჭიროს, მეორე ხელში – კალამი. თუ ქართველ მწერალს ბრძოლა არ შეუძლია, ტაში მაინც არ უნდა დაუკრას.

ისეთ ვითარებას გვიქმნიან, რომ ვიცრუოთ. ერთი კაცის სიცრუე კიდევ დასაშვებია. ტოტალური არა. მწერლობამ სიმართლე უნდა თქვას, გინდ ჯვარს აცვან“.

მეც ვთქვი მწერალთა კავშირში სიტყვა.

კროსვორდი



თარაზულად: 1. სოფელი საქართველოში, სადაც მოიპოვებენ ცეცხლგამძლე თიხას; 6. გისოსი, ან სარებზე გაბმული მავთული, რომელზეც ეხვევა მცენარე; ან აბამენ ხის ტოტებს მათთვის გარკვეული ფორმის მისაღებად; 7. ვაზის შტამბის ფორმა საქართველოში; 9. რისამე გასწვრივ გაკეთებული მოაჯირი; 10. მოწნული სათაესი ახალმოგებული ბატკნისათვის; 11. პერსონაჟი კგამსახურდიას რომანისა „დავით აღმაშენებელი“; 14. კურორტი საქართველოში; 16. საბრძოლო და სანადირო ციხი იარაღი; 19. კოსტაიას როლის შემსრულებელი ფილმში „რაც გინახავს, ეელარ ნახავ!“ 20. ერეკლე II-ის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დასჯილი ქართველი თავადი; 22. საქონლის პერიოდული ჭარბწარმოება, რასაც თან სდევს წვრილ მწარმოებელთა გადატაკება, წარმოების შეკვეცა და უმუშევრობის ზრდა; 24. ნოეს ერთ-ერთი ძე ძველი აღთქმის მიხედვით; 26. თაფლოვანი მცენარე; 27. მსახიობის სახის შემცველი ცხიმოვანი საღებავებით და დასაწებებელი საშუალებებით; 28. საქართველოს სოფელი; 31. გურია-სამეგრელოში გაერცელებული ვაზის ჯიში; 32. ცნობილი ქართველი სელექციონერი; 33. უცხოეთში მცხოვრები ქართველი ისტორიკოსი, ქართველოლოგი, ქველმოქმედი.

შვეულად: 2. ფულის "ერთეული ინდოეთში; 3. ბუნებრივი სასუქი; 5. საკოლმეურნეო მოძრაობის მოღვაწე, ცნობილი ქართველი მესიმინდე; 4. ხალხის, ეთნიკური ერთობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრება სამშობლოს გარეთ; 6. საქართველოში შემოტანილი ვაზის ჯიში; 8. ფეოდალური ტიპის სახელმწიფო, რომელიც შექმნა შამილმა დაღესტნისა და ჩეჩნეთის მთიან რაიონებში; 11. სოფელი სამხრეთ საქართველოში; 12. ქალაქი უკრაინაში; 13. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 15. პერსონაჟი ჭ.ამირეჯიბის რომანისა „დათა თუთაშხია“; 17. საერო ან სასულიერო ხელისუფლების მოადგილე ან ნაცვალი XVII-XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში; 18. მტაცებელი ფრინველი; 21. აბრეშუმის თხელი ქსოვილი; 23. ქართველი მწერალი, ჟურნალისტი, სატირისა და უმორის ჟანრის ცნობილი მსახიობი; 25. იჭავჭავაძის ლექსი; 26. ქართველი მოჭადრაკე; 29. მწერი, რომელიც აზიანებს ბოსტან-ბაღჩის კულტურების მიწისქვეშა ნაწილებს; 30. უძველესი ქართული სამუსიკო საკრავი.

გიორგი გასიტაშვილი

წინა კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. იანთაი; 3. იამალი; 5. ამმა; 7. კუბა; 8. კოლბა; 10. იანეთი; 11. ალსტი; 13. კატალპა; 15. კახიანი; 17. იარა; 18. ნალი; 19. კასპია; 21. ურჩობა; 22. რეცხვა; 23. იაფეტი; 26. ალგებრა; 27. ალბუზი.

შვეულად: 1. ილია; 2. ირანი; 3. იანძი; 4. ირა; 6. ამამია; 7. კალამი; 8. კოშკი; 9. ანძა; 11. ამინ; 12. ისანი; 13. კაპიტულიაცია; 14. აზუა; 15. კეცი; 16. ინკუნაბულები; 19. კვარცი; 20. ფერონი; 24. არდა; 25. ტახი.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444